გორეჯის მაცნე

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საინფორმაციო გაზეთი №15-16(293-294) 2023 წ. 1-31 აგვისტო ფასი 2 ლარი

მთავრობის სხდომებზე სახელმწიფო ონკოლოგიური დიაგნოზის მქონე ყველა ბავშვს შემკურნალებს



საქართველოს პრემიერ-მინისტრ **ირაკლი ღარიბაშვილის** ხელმძღვანელობით მთავრობის სხდომაზე განიხილეს პროექტი, რომლის მიხედვითაც ონკოლოგიური დიაგნოზის მქონე ყველა ბავშვს, სახელმწიფო დაფინანსებით, დიაგნოსტიკისა და მკურნალობის შესაძლებლობა, საქართველოსთან ერთად, თურქეთის, ისრაელისა და ესპანეთის წამყვან კლინიკებში ექნება.

პროექტის წლიური ბიუჯეტი, დაახლოებით, 30 მილიონი ლარია.

უცხოეთში სერვისის მიმწოდებლად, ბაზრის წინასწარი კვლევის საფუძველზე, უკვე შერჩეულია თანამედროვე სტანდარტების, საერთაშორისო აკრედიტაციის მქონე მაღალტექნოლოგიური კლინიკები, სადაც ერთ სივრცეში გაერთიანებულია მომსახურების სრული სპექტრი.

პროექტის ფარგლებში, პაციენტებს შესაძლებლობა ექნებათ მიიღონ მაღალხარისხიანი, მაღალტექნოლოგიური სამედიცინო სერვისები, მათ შორის, პროტონოთერაპია, რომელიც, გარკვეული ტიპის სოლიდური სიმსივნის სამკურნალოდ, უკანასკნელი სიტყვაა თანამედროვე მედიცინაში.

საკითხის განხილვისას ხაზი გაესვა, რომ ხარისხიან ონკოლოგიურ სერვისებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, განსაკუთრებით ბავშვთა ასაკში, სახელმწიფოს პრიორიტეტია.

ჯანდაცვის სამინისტროსა და სამედიცინო დაწესებულებებს შორის თანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულებები თვის ბოლომდე გაფორმდება, რის შემდეგაც, როგორც ზემოთაც ითქვა, ონკოლოგიური დიაგნოზის მქონე ბავშვები, სამედიცინო მომსახურებას როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ - ესპანეთში, ისრაელსა და თურქეთში საჭიროების მიხედვით მიიღებენ.

18 წლამდე პაციენტების საზღვარგარეთ მკურნალობის პროგრამა გარდამავალი ეტაპი იქნება, ვიდრე საქართველოში არ გაძლიერდება სერვისები და არ შეიქმნება თანამედროვე სტანდარტების, მაღალტექნოლოგიური აპარატურით აღჭურვილი ბავშვთა ონკოლოგიური სახელმწიფო ცენტრი, სადაც ხელმისაწვდომი იქნება სამედიცინო სერვისების სრული სპექტრი. ამ მიმართულებით, ჯანდაცვის სამინისტრო აქტიურად მუშაობს.

ონკოლოგიური დაავადებების მკურნალობა უფასოა

ონკოლოგიური პაციენტებისთვის, სრულფასოვან მკურნალობაზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამაში მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდება.

ჰორმონოთერაპია, ქიმიოთერაპია, სხივური თერაპია და მედიკამენტები, ქვეყნის მასშტაბით, ყველა ონკოლოგიურ პაციენტს დაუფინანსდება. მათ შორის არიან ის პაციენტებიც, რომელთა წლიური შემოსავალი 40 000 ლარზე მეტია. ცვლილებამდე, მათ აღნიშნული მომსახურებები არ უფინანსდებოდათ. სიახლე შეეხებათ დაზღვეულ ვეტერანებსაც.

აღნიშნული გადაწყვეტილებით, ონკოლოგიური დაავადებების მკურნალობა, საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში, თითოეული ბენეფიციარისთვის, მათი შემოსავლის მიუხედავად, თანაბრად ხელმისაწვდომი იქნება

გაგრძელება მე-9 გვერდზე

2023 წლის რთველის სუბსიდირება

საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, სახელმწიფო სუბსიდიას მიიღებს ის კომპანია, რომელიც 2023 წლის რთველის განმავლობაში შეიძენს და გადაამუშავებს კახეთის რეგიონში მოწეულ არანაკლებ ***100 ტონა რქაწითელის და/ან კახური მწვანის*** ჯიშის ყურძენს.

შესყიდული 1 კგ ყურძნის სანაცვლოდ, ყურძნის ჩამბარებელს გადაუხდის არანაკლებ 0,90 ლარისა. კახეთის რეგიონში მევენახის მიერ მოწეული ყურძნის შესყიდვის სანაცვლოდ, კომპანიებზე გასაცემი სუბსიდია შეადგენს 1კგ რქაწითელისა და 1 კგ კახური მწვანისათვის 0,20 ლარს.

„რაც დავიწყებით არ იბინდება...“ 8 აგვისტოს ომიდან 15 წელი გავიდა

8 აგვისტოს *საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეებმა*, **ემზარი კუჭუაშვილმა** და **გიორგი ლალიაშვილმა**, *საკრებულოს თავჯდომარე* - **ალეძსი ბილაშვილთან**, *მაჟორიტარის ბიუროს ხელმძღვანელ*- **გია თათრიშვილთან** და ადგილობრივი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებთან ერთად საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის თავდადებულთა მემორიალები თაიგულებით შეამკეს და პატივი მიაგეს აგვისტოს ომში დაღუპულ გმირთა ხსოვნას.

8 აგვისტოს ომიდან 15 წელი გავიდა... საქართველოში, რუსული ინტერვენციის შედეგად, საქართველოს 228 მშვიდობიანი მოქალაქე, 170 სამხედრო მოსამსახურე და 14 პოლიციელი გმირულად დაეცა ბრძოლის ველზე, ხოლო 1 747 - დაიჭრა. დაღუპულთა შორის იყვნენ ჩვენი გმირი თანამემამულეები - **გიორგი კირაკოზაშვილი და რევაზ მამისაშვილი**. მათი საფლავები 8 აგვისტოს, ადგილობრივი ხელისუფლების პირველმა პირებმა თაიგულებით შეამკეს და ოჯახის წევრების წინაშე, მადლიერება და თანადგომა კიდევ ერთხელ გამოხატეს.

მემორიალის რეაბილიტაცია

სოფელ დიდ ჩაილურში, 2008 წლის 8 აგვისტოს ომში გმირულად დაღუპული **გიორგი კირაკოზაშვილის** მემორიალის რეაბილიტაცია დაიწყო. ***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერის ავთანდილ გულიკაშვილის*** ინიციატივით, აღნიშნული პროექტის განხორციელება გარდაცვლილის ოჯახის წევრების მოსაზრებებისა და თანხმების შედეგად დაიწყო.

ჩვენს მუნიციპალიტეტში

შეხვედრები მოსახლეობასთან

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მაჟორიტარი **დავით სონღულაშვილი**, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარესთან **ალექსი გილაშვილთან** და ადგილობრივი თვითმმართველობის სხვა წარმომადგენლებთან ერთად, სოფლების ***დიდი ჩაილურის, მანავის, თოხლიაურის, გიორგიწმინდის, ნინოწმინდის, მზისგულის, ყანდაურის, ვერხვიანის, კაკაბეთის, პატარა ჩაილურის, წყაროსთავისა და პატარძეულის, ბადიაურის, იორმუღანლოს, დუზაგრამის, ლამბალოს, თულარის, გომბორის, კოჭბაანის, უჯარმის, ხაშმის*** მოსახლეობას შეხვდა და ადგილზე გაეცნო არსებულ საჭიროებებსა და გამოწვევებს.

„გარეჯმა“ შესვენების შემდეგ დიდი ანგარიშით მოიგო

3 აგვისტოს ეროვნული ჩემპიონატის ფარგლებში, საგარეჯოს ცენტრალურ სტადიონზე, ლიგა 2 -ის მატჩი გაიმართა

ერთმანეთს დაუპირისპირდნენ - საგარეჯოს გარეჯის გუნდი და თბილისის „მერანი“, თამაში „გარეჯის“ სასარგებლოდ 5:1 დასრულდა.

მატჩის დაწყებამდე “გარეჯი 1960”-სთვის სპეციალურად შექმნილი ჰიმნის პრეზენტაცია გაიმართა, რომელიც მასტერმა და ირინა ბაირამაშვილმა შეასრულეს.

თამაშს გულშემატკივრებთან ერთად ***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერი*** **ავთანდილ გულიკაშვილი,** ***კახეთის სახელმწიფო რწმუნებული*** **გიორგი ალადაშვილი** ***სახელმწიფო რწმუნებულის პირველი მოადგილე*** **პლატონ ბალმახელიძე,** ***საკრებულოს თავჯდომარე*** **ალექსი გილაშვილი** და ***საგარეჯოს პოლიციის რაიონული სამმართველოს უფროსი*** **ირაკლი რეხვიაშვილი** დაესწრნენ.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერია იწყებს ახალგაზრდული კომიტეტის წევრთა შესარჩევ კონკურსს

I ზოგადი დებულება

ახალგაზრდული კომიტეტი არის მუნიციპალიტეტის მერიასთან არსებული სათათბირო ორგანო, რომელიც იქმნება ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 54-ე მუხლის 1-ლი პუნქტის ე.ვ) ქვეპუნქტის და 85-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად და უზრუნველყოფს ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში და გადაწყვეტილების მიღების პროცესში ახალგაზრდების მონაწილეობას.

II მიზანი და ამოცანები

კომიტეტის მიზანია მუნიციპალური ახალგაზრდული პოლიტიკის დაგეგმვა, განხორციელება, მონიტორინგი და პროცესების შეფასება.

ამ მიზნის მისაღწევად კომიტეტის ფუნქციებია:

ა) მუნიციპალური ახალგაზრდული პოლიტიკის დაგეგმვის, განხორციელების, მონიტორინგის და პროცესების შეფასებისთვის წინადადებების და რეკომენდაციების შემუშავება, კურატორი ორგანოსთვის (მერი) წარსადგენად;

ბ) კომიტეტის თემატური ჯგუფების საქმიანობის განსაზღვრა შინაგანაწესით და აღნიშნული საქმიანობის მონიტორინგი;

გ) თანამშრომლობა ახალგაზრდებთან და საინიციატივო ჯგუფებთან;

დ) ახალგაზრდული პოლიტიკისა და საქმიანობის შესახებ ახალგაზრდებში ცნობიერების დონის ამაღლება და შესაბამისი ღონისძიებების გატარება;

ე) ახალგაზრდებთან შეხვედრების ორგანიზება, თემიდან წამოსული იდეების დამუშავება, შეჯერება და მათ საფუძველზე მერიის მიერ ახალგაზრდებისთვის გამოყოფილი ბიუჯეტის დაგეგმვა.

III კომიტეტის სტრუქტურა

ა) კომიტეტი შედგება არაუმეტეს 50 წევრისგან, გენდერული ბალანსის დაცვით.

ბ)კომიტეტის წევრი უნდა იყოს 16-29 წლის ახალგაზრდა, მუნიციპალიტეტის ყველა ადმინისტრაციული ერთეულის წარმომადგენელი.

გ)კომიტეტის წევრებს, ორი წლის ვადით, ორ ეტაპად, განცხადების ფორმისა და გასაუბრების შედეგად ირჩევს საკონკურსო კომისია.

კომიტეტი, საქმიანობის კოორდინაციისთვის, კომიტეტის წევრთაგან ირჩევს თავმჯდომარეს და ორ მოადგილეს 1 წლის ვადით.

IV კომიტეტის სამუშაო ჯგუფები

კომიტეტი, საქმიანობის ფარგლებში, ქმნის თემატურ სამუშაო ჯგუფებს შინაგანაწესით, არანაკლებ 5 თემატური ჯგუფი.

ა) თემატური ჯგუფის ხელმძღვანელებს ირჩევს კომიტეტი, ფარული კენჭისყრით, 1 წლის ვადით. ბ) ერთი თემატური ჯგუფის ხელმძღვანელის პოზიციაზე კანდიდატურის წამოყენების უფლება აქვს არანაკლებ 2 წევრს.

გ) გამარჯვებულად ჩაითვლება კანდიდატი, რომელიც ყველაზე მეტ ხმას მიიღებს. თუ ხმები თანაბრად გადანაწილდა, იმართება მეორე ტური. მეორე ტურში გაიმარჯვებს ყველაზე მეტი ხმის მქონე კანდიდატი.

V კომიტეტის მუშაობის რეგლამენტი

ა) კომიტეტის სხდომებს იწვევს თავმჯდომარე, თვეში ერთხელ მაინც;

ბ) კომიტეტი საქმიანობას წარმართავს სამუშაო გეგმისა და შინაგანაწესის შესაბამისად;

გ) კომიტეტის სხდომებზე, ყველა წევრს აქვს უფლება წამოაყენოს საკითხი განსახილველად.

VI ანგარიშვალდებულება და ადგილობრივ თვითმმართველობასთან თანამშრომლობა

კომიტეტის წევრები ანგარიშვალდებულნი არიან მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ახალგაზრდებთან და რეგულარულად აწვდიან მათ ინფორმაციას განხორციელებული საქმიანობის შესახებ, როგორც ინდივიდუალურად, ასევე ერთობლივად. მუნიციპალიტეტთან ეფექტიანი თანამშრომლობისთვის კომიტეტი კვარტალურად აწვდის ინფორმაციას მუნიციპალიტეტის მერს მისი საქმიანობის შესახებ და პერიოდულად მართავს მასთან საინფორმაციო შეხვედრას.

VII კომიტეტის წევრების მხარდაჭერა

კომიტეტის საქმიანობის ხელშეწყობისთვის გამოიყოფა სივრცე, აღჭურვილი შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური რესურსით;

დებულებით გათვალისწინებული საქმიანობის ეფექტურად განხორციელებისა და შესრულებისთვის კომიტეტის წევრები პერიოდულად გადამზადდებიან მათთვის საჭირო თემატურ საკითხებზე.

განაცხადების მიღება დაიწყო!

სააპლიკაციო ფორმის შესავსებად გადადით მითითებულ ბმულზე

https://docs.google.com/.../1FAIpQLSeoUK4E.../viewform...

აპლიკანტები, რომლებიც წარმატებით გაივლიან შესარჩევ კონკურსს, მათ გადამზადებას უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მერია.

გისურვებთ წარმატებას!

დამატებითი ინფორმაციისთვის მოგვწერეთ პირად შეტყობინებაში, ან დაგვიკავშირდით: 577605902 ქეთი ხაბაზიშვილი

„სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამით

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ **ალექსი გილაშვილმა,** ფრაქცია „ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარესთან **ივანე ბეჭიაშვილთან** და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად, **თოხლიაურსა** და **ნინოწმინდაში** „სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამით განსახორციელებელი პროექტები მოინახულა.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტში „სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტები აქტიურ ფაზაშია.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერი **ავთანდილ გულიკაშვილი** პირველ მოადგილესთან **ემზარ კუჭუაშვილთან** ერთად, „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში, საერთო კრებების მიხედვით, ***სოფელ მანავსა და ბადიაურში, გიორგიწმინდასა და თოხლიაურში, დიდსა და პატარა ჩაილურში, ყანდაურაში*** მოსახლეობის მიერ გამოვლენილი პრიორიტეტული პროექტების მიმდინარე სამუშაოებს გაეცნო. სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, საგარეჯოს მუნიციპალიტეტისთვის 668 000 ლარია გამოყოფილი.

პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტებია:

სასმელი წყლის სისტემები (მათ შორის: ჭაბურღილები, წყალსადენები, სათავე ნაგებობები, გამწმენდი ნაგებობები, ჭა და ა.შ.);

სარწყავი სისტემები;

სანიაღვრე არხები;

ნაპირსამაგრი სამუშაოები

გზები და გზისპირა მოსაცდელები;

ხიდები, ცხაურები, ხიდ-ბოგირები, გადასასვლელები.

გარე განათება.

სკოლების მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა;

სკოლამდელი დაწესებულებები და შესაბამისი ინვენტარი;

ამბულატორიის შენობები;

სასაფლაოების შემოღობვა და კეთილმოწყობა;

სპორტული ინფრასტრუქტურა, მოედნები და მოედნების ინვენტარი;

სკვერები, მათ შორის, საბავშვო სკვერები, შესაბამისი ინვენტარით, აგრეთვე სარეკრეაციო სივრცეები და სველი წერტილები, შესაბამისი ინვენტარით.

ინფრასტრუქტურა-2023

„ბმირთა სავანის“ რეაბილიტაცია დაიწყო

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერის **ავთანდილ გულიკაშვილის** გადაწყვეტილებით, აღნიშნული პროექტი მიმდინარე წელს განხორციელდება და მოდერნიზებული, ახალი მოსასვენებელი სივრცე ნებისმიერი ვიზიტორისთვის ერთ-ერთ შთამბეჭდავ და დასამახსოვრებელ ადგილად იქცევა.

ფასადების რეაბილიტაცია

ქ. საგარეჯოში, კოსტავას ქუჩაზე, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ფასადების სარეაბილიტაციო სამუშაოები აქტიურად გრძელდება.

სამუშაოები ეტაპობრივად ხორციელდება და მიმდებარე კორპუსების ფასადების აღდგენას სრულად ითვალისწინებს.

მუნიციპალიტეტის მერი ავთანდილ გულიკაშვილი, პირველ მოადგილესთან ემზარი კუჭუაშვილთან ერთად სამუშაოებს ადგილზე გაეცნო და პროექტთან დაკავშირებულ საკითხებზე ადგილობრივებს გაესაუბრა.

პროფესია _ მეხანძრე-მაშველი, პასუხისმგებლობა-სიმამაცე

2023 წლის ზაფხულმა მეხანძრე-მაშველებს საქმე და საზრუნავი არ გამოულია

არიან ადამიანები, რომლებიც შეგნებულად თუ გაუცნობიერებლად მიმდინარე წლის ცხელ ზაფხულში კვლავაც სასწორზე აგდებენ უსაფრთხოებისათვის დაწესებულ წესებს. პიკნიკებისა თუ მოსავლის აღების შემდეგ ტყის პირებსა და მინდორში დაანთებენ ცეცხლს და უმეთვალყურეოდ მიტოვებული მცირე ცეცხლიდან დიდი ხანძრების მიზეზი ხდება. ცეცხლის წინააღმდეგ საბრძოლველად კი ერთადერთი ძალა და საშუალება სახანძრო-სამაშველო სამსახურია, რომლის მუშაკებსაც საკუთარ თავზე უწევთ მნიშვნელოვანი სირთულეების გადატანა. არადა, რიცხობრივად არცთუ ისე დიდია საგარეჯოს სახანძრო-სამაშველო სამსახური. თუ გავითვალისწინებთ, რომ სულ 24 ადამიანია, თითოეულ ცვლაში, მათ 24 საათი უწევთ მუნიციპალიტეტის უსაფრთხოების სადარაჯოზე დგომა. ისინი არასოდეს ყოფილან სიძნელეების წინაშე უკანდახეული. ვინ იცის, რამდენ ადამიანს გადაურჩინეს სახლი, ვენახი, ქონება დაწვისგან, გადაგვირჩინეს ჩვენი გარემომცველი ბუნება. ისინი ყოველ წამს მზად არიან დაუყოვნებლივ გავიდნენ შეტყობინების მისამართზე ძნელბედობაში ჩავარდნილი ადამიანების დასახმარებლად.

10 აგვისტოს ნაშუადღევისათვის ვესტუმრე საგარეჯოს სახანძრო-სამაშველო სამსახურს, სადაც სრულ ეკიპირებაში დამხვდნენ სამსახურის უფროსი ზაქარია ოტიაშვილი, მისი მოადგილე ბიორბი შიოშვილი და იმ დღის ცვლის წევრები, რომლებიც ცენტრიდან გადმოცემულ შეტყობინებებს უსმენდნენ. ვიცით, რომ ხანძრებზე მეტად ახლა ხალხს შოვში დატრიალებული ტრაგედია და იქ მიმდინარე სამაშველო სამუშაოები აინტერესებთ, ამიტომ, ბუნებრივია, ჩვენი საუბარიც ამ საკითხით დავიწყეთ.

– ბ-ნო ზაქარია, თქვენს სამსახურსა და მის მუშაკებს არაერთხელ გამოუჩენიათ თავი ჩვენი ქვეყნის მასშტაბით ხანძრებისა თუ სხვა სტიქიური მოვლენების სალიკვიდაციო სამუშაოებში. შოვში დაკარგული ადამიანების სამძებრო-სამაშველო სამუშაოებში თუ იღებენ საგარეჯოელი მეხანძრე-მაშველები მონაწილეობას?

– მივიღეთ თუ არა სათანადო შეტყობინება შოვში განვითარებული მოვლენებისა და სამძებრო-სამაშველო სამუშაოების ჩატარების შესახებ, ჩვენი 4 მუშაკი: **ვანო ძვრივიშვილი, ლაშა სტეფანიშვილი, არკადი პასიკაშვილი და ვანო ყველიაშვილი** 3 აგვისტოს გაემგზავრნენ ამ სამუშაოებში მონაწილეობის მისაღებად და სხვა მუნიციპალიტეტების მეხანძრე-მაშველებთან ერთად ჩაერთვნენ სამძებრო-სამაშველო სამუშაოებში. მათ იქ მთელი 1 კვირა გაატარეს და მხოლოდ გუშინ, 9 აგვისტოს დაგვიბრუნდნენ სამსახურში.

– რას ყვებიან ისინი შოვში სამაშველო სამუშაოების შესახებ?

– ისე იყვნენ დაღლილი და გამოფიტული ტრაგედიის ადგილის ნახვისა და იქ ჩატარებული სამძებრო სამუშაოების შემდეგ, რომ, როგორც იტყვიან, ლაპარაკის თავიც აღარ ჰქონდათ და დასასვენებლად სახლებში გავუშვით.

– მათ შესაცვლელად თუ წავიდნენ კვლავ თქვენი თანამშრომლები?

– ჯერჯერობით არა, მაგრამ ალბათ მომავალში მოგვიწევს ისევ წასვლა, რადგან, როგორც იცით იქ სამუშაოები ჯერ არ დამთავრებულა (მეორე ცვლა, როგორც შევიტყვეთ შოვიდან 15 აგვისტოს დაბრუნდა – გ. დაბ.).

– ბ-ნო ზაქარია, ეს მუნიციპალიტეტის ფარგლებს გარეთ. რას იტყვით, რა მდგომარეობაა თქვენი სამსახურის კუთხით მუნიციპალიტეტის შიგა პერიმეტრზე?

– კარგი არაფერი. ასეთ გვალვებში მოსვენებული არ ვყოფილვართ ხანძრებისგან. ყველაზე უარესი კი ამ დღეებში მდინარე იორზე, სოფელ ხაშმში მოხდა – 9 აგვისტოს იორზე საბანაოდ იქაური ძმები – მამუჩიშვილები წასულან. დავით მამუჩიშვილი მდინარის პირას კლდეზე მზეს ეფიცხებოდა. კლდე ჩამოიშალა და თან ჩაიყოლია 13 წლის მოზარდი. ეს ყველაფერი მდინარეში მყოფი მისი ძმის თვალწინ მოხდა, რომელიც ბევრი ეცადა, მაგრამ ვერაფერი მოახერხა მდინარეში გაუჩინარებული ძმის აღმოსაჩენად. ადგილზე იყო სოფლის მოსახლეობა, პოლიცია,. სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ბრიგადა, ჩვენი სამსახური და დიდი ხნის ძებნის შემდეგ მოზარდის ცხედარი შემთხვევის ადგილიდან მოშორებით თავთხელზე გარიყული აღმოვაჩინეთ. ვეძებთ გომბორში გაუჩინარებულ ხანშიშესულ ქალბატონს, რომელიც სკლეროზის დიაგნოზითაა და სახლიდან გასვლის შემდეგ არავის უნახავს.

– კარგი ამბები არაა, მაგრამ მინდა ხანძრებისა და სხვა შემთხვევების შესახებაც გკითხოთ, ვინაიდან ზაფხული ხანძრების გარეშე ვერც წარმოგვიდგენია.

– გვქონდა ვენახების ხანძრები საგარეჯოში, ე.წ. კოსტაფეს მიმდებარე ტერიტორიებზე. ასევე, მინდვრის წაკიდებები, რომელთა მიზეზი ისევ ადამიანების დაუდევრობა და უგულისყურობაა. ადგილის გასასუფთავებლად ცეცხლს გამხმარ ბალახს მოუკიდებენ და ნიავის ოდნავი დაბერვაც საკმარისია, რომ დიდი ხანძრები წარმოიქმნას. გაუმართლებელი ფაქტია, რომ ხანძრის გამჩენი იმასაც არ აკეთებს – მომხდარზე შეტყობინება გამოაგზავნოს. აუცილებელია ამისთანა ადამიანებზე კანონმა სათანადოდ იმსჯელოს და მკაცრად მოეთხოვოთ პასუხი, რაც მაგალითად გამოდგება სხვებისთვისაც, რათა დაუფიქრდნენ თავიანთ მოქმედებას ცეცხლთან მიმართებაში.

– გომბორის ზონა თქვენი სამსახურისათვის ყოველთვის აქილევსის ქუსლი იყო. წელს რა ხდება ამ ზონაში?

– ჯერჯერობით იქ ხანძარი არ გვქონია და ღმერთმა ნუ ქნას, თორემ ტყის პირებსა და გორაკებზე საკმაო სიმაღლის გამხმარი ბალახია და რა შედეგები შეიძლება მოჰყვეს იქ ხანძრებს, ძნელი წარმოსადგენი არაა, ამიტომ ჩვენი სამსახური მოუწოდებს ამ ზონის მაცხოვრებლებს და არა მარტო მათ – ყურადღებით მოეკიდნენ ხანძრების გამომწვევი მიზეზების პრევენციის საქმეს და ნუ გახდებიან ამ საშიში და ვერაგი სტიქიისა და მისგან გამოწვეული სავალალო შედეგების მიზეზი.

ესაუბრა *გივი დაგახიშვილი*

შოვი – გარეჯელ მეხანძრე-მაშველთა ახალი გამოცდა

(შოვიდან დაბრუნებული მაშველები დაჯილდოვდნენ)

ისინი ოთხნი არიან, ერთ ცვლაში მუშაობენ და ერთობლივად უწევთ იმ სიძნელეებისა და პრობლემების დაძლევა-გადალახვა, რასაც მეხანძრე-მაშველები აწყდებიან ხანძრებთან და სხვა სტიქიური მოვლენების სალიკვიდაციო სამუშაოების ჩატარებისას. უკვე წლებია, რაც ვანო ძვრივიშვილი, ვანო ყველიაშვილი, ლაშა სტეფანიშვილი და ავთანდილ პასიკაშვილი საგარეჯოს სახანძრო-სამაშველო სამსახურის პირველ ოცეულში არიან. ვინ მოთვლის და აღნუსხავს იმ სასიკეთო საქმეებს, რაც მათ თავიანთ სხვა თანამოსაქმეებთან ერთად გაუკეთებიათ ხანძრებისგან და სხვა განსაცდელისაგან ჩვენი მოქალაქეების ქონების, ჯანმრთელობის, სიცოცხლის გადასარჩენად. ამ წლების მანძილზე ისე გაიცნეს, შეითავისეს ერთმანეთი, რომ, როგორც იტყვიან, უსიტყვოდაც ესმით ერთმანეთის და მუდამ ერთმანეთის იმედიც აქვთ ყოველგვარ კრიტიკულ სიტუაციაში, რასაც ისინი აწყდებიან სტიქიური მოვლენების სალიკვიდაციო სამუშაოების ჩატარებისას. ვერ ვიტყვით, რომ ამ სამსახურში პროფესიონალი მუშაკები არ არიან, მაგრამ ალბათ ისინი რაღაცით მაინც არიან სხვებზე „დამეტებულები“, რომ როცა საქართველოში განგაშის ზარი დაირეკა და საჭირო გახდა შოვში დატრიალებული ტრაგედიის შედეგების სალიკვიდაციო სამუშაოების ჩატარება, კახეთის სხვა მუნიციპალიტეტების მეხანძრე-მაშველებთან ერთად. კატასტროფის პირველივე დღეს სამსახურის ხელმძღვანელობამ ისინი ამოირჩია შოვში სამძებრო-სამაშველო სამუშაოებზე გასაგზავნად. და, აი, ექვსდღიანი დაძაბული და სახიფათო სამუშაოების შემდეგ 14 აგვისტოს საშუალება მოგვეცა კვლავ თავიანთ ცვლაში მყოფთაგან მოგვესმინა შოვში მათ მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ.

– შოვში ჩასულები, – *გვიყვება* **ვანო ძვრივიშვილი**, – მობილურ ჯგუფებში – თითოში 5-5 კაცი გაგვანაწილეს და ჩვენ, როგორც ერთად მომუშავენი, იქაც ერთ ჯგუფში მოვხვდით. სიტყვები არ მეყოფა იმის აღსაწერად, რაც ჩვენ იქ, საქართველოს იმ ულამაზეს კუთხეში დაგვიხვდა, მეწყერსა და ადიდებულ მდინარე ჭანჭახს იქაურობა, როგორც ამბობენ მიწის პირას ჰქონდა გასწორებული, გადარჩენილი იყო მარტო კომუნისტების დროს აშენებული ორი საცხოვრებელი კორპუსი. მთლიანად დამეწყრილი იყო 28-30 ჰა ფართობი. ჩასვლის პირველივე დღეს ჩვენ ჯგუფს დაევალა მდინარის გასწვრივ პერიმეტრის გაკონტროლება. დავუყვეთ მის დინებას და პირადად ჩვენმა ჯგუფმა აღმოაჩინა ოთხი სხვადასხვა მარკის მიწაში ჩაფლული ავტომანქანა, რომლებშიც, საბედნიეროდ, არც ერთი მგზავრი არ აღმოჩენილა. სპეცტექნიკის დახმარებით მოხდა მათი ამოყვანა და უსაფრთხო ადგილას გადატანა და ასე შემოგვაღამდა ის დღე. დამე ონში სპორტულ დარბაზში გავათიეთ და მეორე დღის დილის 5 საათიდან ისევ ჩავერთეთ სამძებრო-სამაშველო სამუშაოებში, რაც მეწყერით ჩამოტანილი მიწის მასასა და გაუვალ ტალახში უგზო-უკვლოდ დაკარგული ადამიანების ძებნასა და აღმოჩენას გულისხმობდა.

– შოვში დატრიალებულ ტრაგედიას ყოველდღე გადმოსცემდნენ ჩვენი ტელეარხები და იქიდან ვიცი, რაოდენ ძნელი და სახიფათო იყო ამ მასაში მეხანძრე-მაშველების გადაადგილება. აქედან გამომდინარე, ალბათ ცოტა შიშიც გაგიჩნდებოდათ იმ დროს, არა?

– შიშისა რა მოგახსენოთ, მაგრამ სიფრთხილე და დაკვირვება კი ნამდვილად გვჭირდებოდა, რადგან ზოგიერთ ადგილებში 1 მეტრიდან სამ მეტრამდე სიმაღლის ტალახის გროვები იყო ჩამოტანილი. მაღლიდან მზის გამო ამ მასას პირი შემშრალი ჰქონდა, დაბლიდან კი ისევ ტალახი და ჭაობები იყო საკმარისი იყო ერთი გაუფრთხილებელი ნაბიჯის გადადგმა, რომ ამ გაუვალ მასაში აღმოჩენილიყო კაცი. ამიტომ სამძებრო სამუშაოებზე გასულები ერთმანეთზე თოკებით ვიყავით გადაბმული და სპეცტექნიკაზე დამაგრებული. ტალახის მასაზე კი ფიცრების, მდინარისაგან ჩამოტანილი ხეებისა და მორების საშუალებით გადავაადგილდებოდით.

– რას ამბობდნენ კატასტროფის გამომწვევ მიზეზებზე იქ მყოფი სპეციალისტები, რა მოხდა სინამდვილეში შოვში? – ვეკითხები ლაშა სტეფანიშვილს...

– ეს გამოწვეული იყო იმ დღის მაღალი სიცხეებითა და თანდართული დიდი წვიმის გამო, რომელიც მზეზე უფრო მეტად უწყობს ხელს მთებზე ყინულის დნობას. ამის გამო რაღაც მონაკვეთზე მოხდა წყლის დიდი ოდენობით დაგუბება, რასაც ვეღარ გაუძლო მთის ქანებმა, გაირღვა დაგუბებული წყალი და ნიაღვარმა ჩამორეცხა და ჩამოიტანა აურაცხელი მიწის ქანები, მარტო მიწა კი არა, თითქმის აი, ამ ოთახის ხელა უზარმაზარი ქვები.

– თქვენ არა, მაგრამ სხვა მეხანძრე-მაშველი ხომ არ დაშავებულა ამ მუშაობის დროს?

ავთანდილ ტაბატაძე:

– ეს არ ვიცი, , მაგრამ სპეცტექნიკა და ტრაქტორები კი იფლობოდა ტალახში და შემდეგ საჭირო იყო მათი ამოყვანა. დიდი საშიშროება იყო და დიდი სიფრთხილეც გვმართებდა, რომ იქით არ გავმხდარიყავით საძიებო და დასახმარებელი. ჩვენ სამძებრო სამუშაოებზე დილის 5 საათიდან გავდიოდით და ღამის 1-2 საათზე თუ ვბრუნდებოდით ღამის გასათევ ადგილას. მთელი სამუშაო პერიმეტრი კონტროლდებოდა პოლიციის მიერ და შიგნით არავის უშვებდნენ, მეხანძრე-მაშველების, წითელი ჯვრის წარმომადგენლების, ჯარისკაცებისა და მოხალისეების გარდა. მიუხედავად ასეთი სამუშაო გრაფიკისა, ტრაგედიის ადგილზე წუთით არ ტოვებდნენ და არ ცილდებოდნენ დაკარგულთა ჭირისუფლები, რომლებიც ცოცხლებს კი არა, უკვე გარდაცვლილთა ნეშტების პოვნას გვთხოვდნენ.

– და სულ რამდენი ასეთი ადამიანის პოვნა შეძელით შოვში თქვენი ყოფნის ექვსი დღის მანძილზე?

– უშუალოდ ჩვენი ჯგუფის მიერ არა, მაგრამ მთლიანი ძალისხმევით სახანძრო-სამაშველო სამსახურის, ჯარისკაცების, წითელი ჯვრის საზოგადოების, მოხალისეების, კინოლოგების ერთობლივი მუშაობით იმ პერიოდში აღმოჩენილი იყო 16 ადამიანი. პარალელურ რეჟიმში ხდებოდა ვერტმფრენებით სტიქიურ უბედურებას გადარჩენილი ადამიანების სამშვიდობოზე გადაყვანა. ერთი სიტყვით, ამ დღეებში მთელი საქართველო და ქვეყნის ხელისუფლება შოვში იყო მობილიზებული და შესაძლებლობის მაქსიმუმს ვაკეთებდით დაღუპული და გაუჩინარებული ადამიანების მოსაძებნად და აღმოსაჩენად.

– შოვში სამძებრო-სამაშველო სამუშაოები კიდევ კარგა ხანს გაგრძელდება. როგორც იქ ნამყოფი და უკვე გამოცდილებამიღებულები, ისევ ხომ არ აპირებთ იქ გამგზავრებას?

– რა გითხრათ, ყოველდღიურ მოლოდინში ვართ, რომ შოვში ჩვენს სხვა მაშველებსაც გაიწვევენ და არც ისინი დარჩებიან ვალში ხალხის, ქვეყნისა და ჩვენი პროფესიული მოვალეობის წინაშე.

ესაუბრა
გივი დაგახიშვილი

მთავრობის სხდომაზე

ეკონომიკური საბჭოს სხდომაზე

მთავრობის ადმინისტრაციაში გამართულ სხდომაზე ეკონომიკის მიმართულებით ქვეყანაში არსებული დადებითი ტენდენციები მიმოიხილეს.

განსახილველ საკითხებს შორის იყო ინფლაციის დაბალი დონე და ბიუჯეტის შესრულების დინამიკა. როგორც ***ფინანსთა მინისტრმა* ლაშა ხუციშვილმა** აღნიშნა, ივლისში სამომხმარებლო ფასების წლიურმა ინფლაციამ 0.3 პროცენტი შეადგინა, 2023 წლის 6 თვის მაჩვენებლების მიხედვით კი ბიუჯეტი გადაჭარბებით შესრულდა.

მთავრობის მეთაურმა რეგიონებში ინფრასტრუქტურული პროექტების მიმდინარეობის შესახებ მოისმინა ინფორმაცია. როგორც ***რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა* ირაკლი ქარსელაძემ** აღნიშნა, სამინისტრომ 2023 წლის 6 თვის სახელმწიფო ბიუჯეტი 13.5%-ის ანუ 1 331.1 მლნ ლარის გადაჭარბებით შეასრულა. მიმდინარეობს 203 კმ მაგისტრალური გზების მშენებლობა, რომლის გახსნაც, ეტაპობრივად, 2023 -2024 წლებშია დაგეგმილი. ქვეყნის მასშტაბით, მიმდინარეობს 1800 კმ-მდე შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გზების რეაბილიტაცია. 167 მდებარეობაში მიმდინარეობს წყალმომარაგებისა და წყალარინების, 3 მილიარდ ლარზე მეტი ღირებულების, პროექტები. სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის მიმდინარეობს ახალციხის, ზუგდიდის, სოფელ არხილოსკალოს, ბოლნისის, წნორის სპორტული კომპლექსებისა და მრავალფუნქციური სპორტული დარბაზების მშენებლობა. დასრულების ეტაპზეა რუსთავის სპორტული კომპლექსის მშენებლობა.

პრემიერ-მინისტრის გადაწყვეტილებით, დაწყებული საბავშვო ბაღების მშენებლობა-რეაბილიტაციის პროგრამის ფარგლებში, 130 ახალი ბაღების მშენებლობაზე უკვე გაფორმებულია ხელშეკრულება და ტენდერების გამოცხადება გრძელდება.

სხდომაზე განიხილეს 800 სკოლის მშენებლობა-რეაბილიტაციის მასშტაბური, 1 მილიარდი ლარის ღირებულების პროექტი, რომელიც ასევე პრემიერ-მინისტრის გადაწყვეტილებით დაიწყო. პროექტის პირველ ეტაპზე მიმდინარეობს 80 ახალი სკოლის მშენებლობისა და 200 სკოლის რეაბილიტაციის პროცესი. მომდევნო ეტაპი 2024 წელს დაიწყება და 2026 წლის ბოლოსთვის დასრულდება. პროექტი საგანმანათლებლო რესურსებზე თანაბარ ხელმისაწვდომობა-გაუმჯობესებას უზრუნველყოფს და მისი განხორციელებით 230 000-ზე მეტი მოსწავლე ისარგებლებს.

პრემიერ-მინისტრის გადაწყვეტილებით დაწყებული ქალაქებისა და კურორტების განვითარების ახალი 5 წლიანი პროგრამის ფარგლებში, პირველ ეტაპზე შერჩეული 11 მდებარეობის განვითარებისთვის, გამოცხადებულია 8 ტენდერი.

განსახილველ საკითხებს შორის იყო ტურიზმის მიმართულებით არსებული დადებითი ტენდენციები. როგორც ვიცე-პრემიერმა, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა ლევან დავითაშვილმა აღნიშნა, 2023 წლის I-II კვარტალში მოგზაურობიდან მიღებულმა შემოსავალმა 2019 წლის მაჩვენებელს გადააჭარბა და რეკორდული მაჩვენებელი დაფიქსირდა - 1,804,529,935 აშშ. დოლარი, რაც 2019 წლის ანალოგიურ მაჩვენებლის 123.9% აღდგენაა. 2022 წელთან შედარებით მოგზაურობიდან შემოსავლები 57.9%-ით არის გაზრდილი. მთლიანობაში, 2023 წლის I-II კვარტლის მდგომარეობით საერთაშორისო მოგზაურობიდან საქართველომ 1.8 მილიარდი დოლარის შემოსავალი მიიღო.

ასევე განიხილეს ახალი ავიამიმართულებათა დამატებისა და ჩინეთთან ფრენების ინტენსივობის გაზრდის შესაძლებლობები. აღინიშნა, რომ სხვადასხვა ქვეყანასთან ფრენების ინტენსივობის გაზრდა და ახალი ავიამიმართულებების დამატება ხელს შეუწყობს ქვეყანაში ტურიზმისა თუ ავიაციის სექტორის განვითარებას.

სხდომაზე მსხვილი ეკონომიკური პროექტების მიმდინარეობასა და ამ მიმართულებით სამომავლოდ გადასადგმელ ნაბიჯებზე იმსჯელეს.

სოფლის მეურნეობა

„ალოობა-2023“-ის შედეგები

მუნიციპალიტეტის სასოფლო-სამეურნეო სავარგულებში კარგა ხანია დამთავრდა „ალოობა-2023“. საბოლოო შედეგებით მთლიანად აღებულია წლევანდელი მოსავლის ქვეშ დათესილი 5200 ჰა საშემოდგომო ხორბალი, საიდანაც მიღებულია 11700 ტონა ხორბალი. ხორბლის საშუალო საჰექტარო გამოსავლიანობა 2,25 ტონა შეადგინა.

2800 ჰა საშემოდგომო ქერის ნათესებიდან მიღებულია 5050 ტონა ქერი – საშუალოდ ჰექტარზე 1.8 ტონა მარცვალი.

წარმატებისთვის დაჯილდოვდნენ

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერმა ავთანდილ გულიკაშვილმა ხელოვნების სფეროში მიღწეული წარმატებისთვის კულტურის სახლთან არსებული ანსამბლები, ბავშვთა თოჯინების თეატრის დასი და ხელმძღვანელები დააჯილდოვა. ვოკალური სტუდია „კამერტონი“, ხელმძღვანელი - **თეა ხატიაშვილი**; ბავშვთა ვოკალური ანსამბლი „მი-რე-ლა“, ხელმძღვანელი - **მარინა ურდულაშვილი**; საგარეჯოს თოჯინების სახალხო თეატრის ბავშვთა ექსპერიმენტალური ჯგუფი, სამხატრო ხელმძღვანელი - **მარინა შიოშვილი;**

„ხელოვნების სფეროში, ყოველთვის განსაკუთრებულ ნიშას იკავებდა საგარეჯო იდეური და შემოქმედებითი მრწამსით. ერთგვარ მემკვიდრეობად და ტრადიციად დამკვიდრდა ნიჭიერი და შემოქმედებითი უნარებით დაჯილდოებული ადამიანების წარმატებული და მაყურებლისთვის დასამახსოვრებელი სახეები, რომელნიც სცენის სივრცეში თანდათან ხელოვნების სიმბოლოდ რჩებიან.

თითოეული თქვენგანის წარმატება, ჩვენი მუნიციპალიტეტის წარმატება და გამარჯვებაა. ჩემი მიზანია, კულტურული ცხოვრების განვითარებისთვის შევქმნათ შესაბამისი გარემო და ინფრასტრუქტურა თქვენი მომავალი გეგმების რეალიზებისათვის“ - განაცხადა ავთანდილ გულიკაშვილმა.

შეხვედრას კულტურის ობიექტების გაერთიანების ხელმძღვანელი, **ბესიკ ღვინაშვილი** და მუნიციპალიტეტის კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის თანამშრომლები ესწრებოდნენ.

ახალგაზრდულ ბანაკში

საინტერესო თავგადასავლით და მრავალფეროვანი პროგრამით დატვირთული დღეები „ახალგაზრდულ ბანაკში“.

დღეს, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერი **ავთანდილ გულიკაშვილი** „ახალგაზრდული ბანაკები”-ს მეორე ნაკადის მონაწილეებს და მათ მშობლებს ანაკლიაში გამგზავრების წინ შეხვდა და წარმატება უსურვა.

შვიდი დღის განმავლობაში ახალგაზრდები სხვადასხვა სახალისო და შემეცნებით აქტივობებში მიიღებენ მონაწილეობას, აღნიშნული ბანაკის მთავარი მიზანი საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტის მიხედვით, ჯანსაღი ცხოვრების წესის და გარემოსდაცვის შესახებ ცნობიერების გაზრდის ხელშეწყობაა.





ინფრასტრუქტურა-2023

სოფელ კაკაბეთის №1 საბავშვო ბაგა-ბაღი ახალ სასწავლო წელს განახლებული ინფრასტრუქტურით შეხვდება.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერმა **ავთანდილ გულიკაშვილმა** პირველ მოადგილესთან **ემზარი კუჭუაშვილთან** ერთად სამშენებლო სამუშაოები ადგილზე დაათვალიერა, დეტალურად გაეცნო შესრულებული სამუშაოების ხარისხისა და დამატებითი საჭიროებების შესახებ ისაუბრა. პროექტის ფარგლებში, 80 აღსაზრდელზე გათვლილი თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი საბავშვო ბაღი აშენდა, რომელიც ადაპტირებულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის. დამონტაჟდა ცენტრალური გათბობა და ასევე აღიჭურვება თანამედროვე ინვენტარით, გარდა შიდა ინფრასტრუქტურისა, კეთილმოეწყო საბავშვო ბაღის ეზო, განათებით, ატრაქციებითა და გასართობი სივრცეებით.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერი **ავთანდილ გულიკაშვილი** პირველ მოადგილესთან **ემზარი კუჭუაშვილთან** ერთად ქ. საგარეჯოში თბილისის ქუჩის პირველი შესახვევის მცხოვრებლებს შეხვდა და გზის მოასფალტების მიმდინარე სამუშაოებთან დაკავშირებით მათ მოსაზრებებს გაეცნო.

ადგილობრივებმა ხელისუფლების წარმომადგენლებს მადლობა გადაუხადეს აღნიშნული პროექტის განხორციელებისათვის, საჭიროებებზე ესაუბრნენ და სამომავლო საქმიანობაში წარმატება უსურვეს.



ქეთი გრატიაშვილი,
საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერის პრესსპიკერი

მადლობა სამსახურისთვის!

ტრაგედიის ადგილიდან დაბრუნებულები

29 აგვისტოს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერი, ავთანდილ გულიკაშვილი შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სახანძრო-სამაშველო ძალების დეპარტამენტის უფროსის მოადგილესთან სამოქალაქო უსაფრთხოების პოლკოვნიკ - მამუკა სეფიაშვილთან და საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის კახეთის მთავარი სამმართველოს ხელმძღვანელთან, ალექსანდრე ბულკაშვილთან ერთად საგანგებო სიტუაციების მართვის საგარეჯოს სახანძრო-სამაშველო სამსახურს ეწვია, შოვის ტრაგედიის შედეგების სალიკვიდაციო და სამაშველო ღონისძიებებში ჩართულ მაშველებს შეხვდა, მადლობა პირადად გადაუხადა , გაწეული დახმარებისა და თავდადებისთვის, სპეციალური ჯილდო და მადლობის სიგელი გადასცა.

საგარეჯოს სამაშველო ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით: ივანე ქვრივიშვილი, გათელის უფროსი, ლაშა სტეფანიშვილი, მეხანძრე - მაშველი, ავთანდილ პასიკაშვილი - მეხანძრე-მაშველი, ვანო ყველიაშვილი - მეხანძრე-მაშველი საქართველოს პრემიერ-მინისტრის გადაწყვეტილებით კატასტროფის პირველივე დღეს გაემგზავრა და ოთხივე მაშველმა სამაშველო მისია 7 დღის განმავლობაში შეასრულა.



ღვაწლმოსილნი

კოლორიტი და სამაგალითო გარეჯელი

საგარეჯოს კულტურის სახლის მცირე დარბაზში ღვაწლმოსილი ხელოვანის - **თინათინ მეზვრიშვილის** დაბადებიდან 70 და სასცენო მოღვაწეობიდან 55 წლის იუბილესადმი მიძღვნილი საღამო გაიმართა.

მსახიობს კულტურის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის, მუნიციპალიტეტის მერმა **ავთანდილ გულიკაშვილმა** ჯილდო და მადლობის სიგელი გადასცა.

თინათინ მეზვრიშვილს განსაკუთრებული აღიარება და პოპულარობა მოუტანა ქართული ცეკვის ანსამბლმა, სადაც ბრწყინვალედ ასრულებდა სოლოს, გამოირჩეოდა დახვეწილი არტისტიზმით, შესრულების მაღალი კულტურით, სცენური გარდასახვის უნარით, კეთილშობილებითა და ტემპერამენტით. ხელოვნების სფეროში 55 წლის მოღვაწეობის მანძილზე იყო და არის კარგი მსახიობი, მოცეკვავე, მენეჯერი, ქორეოგრაფი, კოსტიუმების შემქმნელი. შემოქმედებითი მოღვაწეობის უნიკალური ფოტომატიანე, ეკრანებზე გაცოცხლდა და სტუმრებისთვის საგამოფენო სივრცეში მისი ხელით შექმნილი არაერთი სასცენო სამოსი გამოიფინა.

ღონისძიებას უძღვებოდა საქართველოს 2022 წლის ეროვნული ფოლკლორული ფესტივალის ლაურეატი ლეილა არჩემაშვილი.

მოწვეულმა სტუმრებმა, მეგობრებმა, ოჯახის წევრებმა თინათინ მეზვრიშვილის დამსახურებაზე ისაუბრეს, გაიხსენეს ცხოვრებისეული ეპიზოდები და მადლობა გადაუხადეს ხელოვნების სფეროში შეტანილი მნიშვნელოვანი ღვაწლისთვის და მომავალი თაობის ქართული სულისკვეთების და ეროვნული იდეოლოგიის გატარებისთვის.

ღონისძიების ორგანიზატორმა და ინიციატორმა - საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერმა, ავთანდილ გულიკაშვილმა საუბრისას აღნიშნა, რომ: ***„ხელოვნების სფეროში, ყოველთვის განსაკუთრებულ ნიშას იკავებდა საგარეჯო იდეური და შემოქმედებითი მრწამსით. ერთგვარ მემკვიდრეობად და ტრადიციად დამკვიდრდა ნიჭიერი და შემოქმედებითი უნარებით დაჯილდოებული ადამიანების წარმატებული და მაყურებლისთვის დასამახსოვრებელი სახეები, რომელნიც სცენის სივრცეში თანდათან ხელოვნების სიმბოლოდ რჩებიან და სწორედ ერთ-ერთი სახე არის ქალბატონი თინათინ მეზვრიშვილი, რომელიც ყოველთვის დარჩება კოლორიტად, მისაბაძად და სამაგალითო გარეჯელად“.***

დამსახურებული პედაგოგის წოდებით

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერი **ავთანდილ გულიკაშვილი**, საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელთან **ლელა ფანოზიშვილთან** ერთად ***ქ. საგარეჯოს მე-4 საჯარო სკოლის*** ღვაწლმოსილ პედაგოგს **ნანა (ანა) დავითაშვილს** შეხვდა და ხანგრძლივი პედაგოგიური მოღვაწეობისა და მომავალი თაობების აღზრდა-განათლებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის ჯილდო გადასცა.

წელს, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილებით, ქალბატონ ნანა დავითაშვილს საქართველოს დამსახურებული მასწავლებლის წოდება მიენიჭა.

“თქვენი როლი განუზომელია, გულწრფელი მადლიერება მინდა გამოვხატო თქვენს მიმართ, პედაგოგის საქმიანობა განსაკუთრებული მნიშვნელობისაა, ამიტომ, თქვენი როლიც განსაკუთრებულია ქვეყნისა და მომავლის განვითარებაში. ამ საპატიო და დირსეულ პროფესიას ჩვენი ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან დიდი მხარდაჭერა აქვს და წარმატება მინდა გისურვოთ ჩვენი თაობების აღზრდა -განათლების საქმიანობაში“- აღნიშნა ავთანდილ გულიკაშვილმა.

ქეთი გრატიაშვილი,
საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერის პრესსპიკერი

მართლმადიდებლობა

მარიამობა

ყოვლადწმინდა *ღვთისმშობლისადმი მრავალი დღესასწაულია მიძღვნილი. მათ შორის ხალხში 15/28 აგვისტო, ღვთისმშობლის მიძინება, მარიამობა გამოირჩევა. ეს ის დღეა, როდესაც წმინდა მარიამი იერუსალიმში გარდაიცვალა და თავად იესო ქრისტემ მიიღო მისი სული. ცოტა ხანში უფალმა იგი ხორციელადაც გაიყვანა ამ ქვეყნიდან.*

როგორ აღინიშნებოდა მარიამობის დღე საქართველოს სხვადასხვა კუთხეში? გვესაუბრება ქალბატონი ნინო დამბაშიძე (ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი):

“მარიამობის დღესასწაულს წინ ორკვირიანი მარიამობის მარხვა უძღვის. მარხვა მძიმეა. დიდმარხვის მარიამობა მთელ საქართველოში დიდი უქმე იყო.

რაჭაშიც მარიამობა დიდი უქმე იყო. დილით ადრე ყველიან ან ქონიან განატეხს აცხობდნენ და სანთელს ცეცხლში აკმევდნენ. დიასახლისი, რომელსაც ხელში განატეხი და ღვინის ზედაშე ეჭირა, ილოცებდა და მარიამობის ძალასა და მადლს, მშვიდობას და მომავალი მარიამობისთვის კარგად ყოფნას შესთხოვდა. განატეხს ოჯახის ყველა წევრი შეჭამდა. სადილისთვის საკურთხის, მიცვალებულის მოსახსენებელ სუფრას გაამზადებდნენ. საამისოდ 7 ყველიან ან ქონიან სულის პურს გამოაცხობდნენ, მოხარშავდნენ შაშხს, ქათამს, სუფრაზე აუცილებლად უნდა ყოფილიყო 1-2 კვერცხი, ლავაში და ერთი სანთელი. თუ ოჯახს ახალი მიცვალებული ჰყავდა, უნდა დაეკლათ ცხვარი, მეტი პურიც გამოეცხოთ და სუფრა მღვდელს უნდა ეკურთხებინა.

ლეჩხუმში როგორი ღარიბიც უნდა ყოფილიყო ოჯახი, რაიმეთი მაინც გაიხსნილებდა. დიასახლისი დილით ადრიანად ეზოს ხვეტავდა, 3 სულის პურს აცხობდა, კლავდა ქათამს ან შაშხს ხარშავდა, ლავაშებს აცხობდა, ჩამოქნიდა სანთლებს, რათა მიცვალებულებისთვის სუფრა წაედგა ანუ გაეშალა, რაც ამ დღისთვის აუცილებელი იყო. გაშლილ სუფრაზე დგამდნენ ღვინით სავსე ჭიქებს და დებდნენ ყველაფერ იმას, რაც ახალი შემოსული იყო. დიასახლისი ილოცებდა და “მარიამობის გამჩენ ძალას” მიცვალებულების ცხონებას და მისი შთამომავლობის კარგად ყოფნას შესთხოვდა. ეს დღე განსაკუთრებით სოფელ ლესინდის დღეობა იყო და აქ დიდძალი საქონელი იკვლებოდა. ერთხელ 20 ხარიც კი დაკლულა. ხარებს წვრილ საქონელსაც მიუმატებდნენ. სოფელში ამ დღესაც დიდი სტუმრიანობა სცოდნიათ. მოკეთეებს მაშინ ეპატიჟებოდნენ, თუ მათი სოფლის სალოცავს დღესასწაული არ ჰქონდა. იშლებოდა დიდი სუფრები, რომლებიც სამი დღე არ ლაგდებოდა. ხალხი ერთმანეთთან გადადიოდა სტუმრად, ღამეს აუცილებლად მთავარი მასპინძლის ოჯახში ათევდნენ.

მარამობისთვის შეთქმულ საკლავს სალოცავში მიიყვანდნენ, მიიტანდნენ ჩამოქნილ სანთელს, ფულს და მღვდელი საჯაროდ აცხადებდა, ვინ რა მიიყვანა თუ მიიტანა.

მარიობას ანუ მარიამობას **სამეგრელოში** მარაშონას/მარაშინას ეძახდნენ. ეს დღე მიცვალებულთა მოხსენიების დღეც იყო და ახალი მიცვალებულის პატრონი ამ დღემდე ახალ ხილს ეზოშიც კი არ მოწყვეტდა. წინა საღამოს თხემლის ტოტებით დაჯვარვა იცოდნენ, ანუ თხემლის ტოტები მიჰქონდათ ყანაში და სხვაგან. ამ დღეს სამეგრელოში ის წესები სრულდებოდა, რაც დანარჩენ საქართველოში ჭიაკოკონობის დროს. თუ მარიამობა მარხვის დღეს დაემთხვეოდა, სტუმრებს თევზით უმასპინძლდებოდნენ და მეორე სახსნილო დღეს ლხინს ხორცით აგრძელებდნენ. ადდგომიდან მოყოლებული ყოველ კვირას და უქმე დღეებში ხალხი მინდვრად გადიოდა მოსალხენად, რასაც ჯარობა ეწოდებოდა. მარიამობის ჯარობა იმ წელს ბოლო ჯარობა იყო.

გურიაში ამ დღეს თაგვმარიობას, ყვავმარიობას, ჩიტმარიობასაც უწოდებდნენ.

კახეთში მარიამობას საყოველთაოდ ცნობილი აწყურის წმ. გიორგის დღესასწაული იმართებოდა. მლოცველი თეორი გიორგის ეკლესიაში წინა დღეს, ზოგიც უფრო ადრე მიდიოდა. მლოცველები აქ მთელი კახეთიდან, თუშ-ფშავ-ხევსურეთიდან, ქართლიდან, ერწო-თიანეთიდან იყრიდნენ თავს. აქ დღესაც ბევრი ხალხი მიდის.

მლოცველები თავდაპირველად ეკლესიას მარჯვნიდან მარცხნივ სამჯერ ან შვიდჯერ შემოუვლიდნენ. წინ მიდიოდნენ ქალები. მათ მამაკაცთა გუნდი მიჰყვებოდა. ორივე გუნდი რიგ-რიგობით გალობდა „დიდებას“: „დიდება და ღმერთსა დიდება, წმიდა გიორგი ცხოველო, შენს სალოცავად მოველო“.

საღამოს, როდესაც ზარს დარეკავდნენ, ხალხი ეკლესიასთან იყრიდა თავს. აქ, ამ სალოცავში, როგორც სხვაგან, თავს იყრიდნენ მონა ქალები. მიაჩნდათ, რომ ამ მონა ქალებს ხატი ირჩევდა და ისინი ხალხს ღმერთის, წმინდანების, სალოცავების ნებას გადასცემდნენ, თან ხალხის ჯანმრთელობას, კარგად ყოფნას შესთხოვდნენ. მონა ქალებს თეორი თავსაფარი ჰქონდათ თავზე წაკრული, თეორები ეცვათ, ფეხშიშვლები იყვნენ, ზოგჯერ მათ თეორი გიორგის ეკლესიის ჯაჭვი ჰქონდათ კისერზე. ისინი ეკლესიას დაჩოქილები უვლიდნენ გარშემო, გალობდნენ და კედლებზე ანთებულ სანთლებს აკრავდნენ. ერთი მონა ქალი კვირისტავით ბამბის ძაფს ართავდა და ეკლესიას გარშემო ახვევდა. რომელიმე მონა ქალი კი ზოგჯერ შესასვლელი კარის წინ დაეცემოდა და მღვდელს, მლოცველს, ვისაც ეკლესიაში შესვლა უნდოდა, მისთვის უნდა გადაებიჯებინა.

ხალხს სალოცავში შესაწირი ცხვრები მიჰყავდა. დაკვლის წინ მიუყვანდნენ მღვდელს, რომელიც საკლავს სანთლით ბალანს შეუტუსავდა, იტყოდა: „წმიდაო გიორგი, შეიწირე საღმრთო მონისა შენისა“ და შემწირველის სახელს წარმოთქვამდა. ისინი, ვისაც შეთქმული, დათქმული ჰქონდა შანას ტარება და ვადა უკვე გასვლოდათ, მიდიოდნენ ეკლესიის დიაკვანთან, რომელიც მათ შესაწირ საკლავს, საღმრთოს, ბალანს შეაჭრიდა და მონებს შანას შეხსნიდა. შანა მავთულის იყო, ჯაჭვის მაგივრობას სწევდა და მონას ყელზე ჰქონდა შემოხვეული.

პირიქით ხევსურეთში მარიამობა მხოლოდ არხოტში აღინიშნებოდა, ხოლო პირაქეთში – სათემო ჯვრებში. ამ დღეს განსაკუთრებული წესები არ სრულდებოდა და მარიამობა პატარა დღეობად მიაჩნდათ. ასევე იყო ფშავშიც.

თუშეთში მარიამობას ზოგან ლუდსაც ადუღებდნენ და საზიარო საკლავსაც ყიდულობდნენ, მაგრამ ძირითადად სუფრა სახლში მზადდებოდა. ეს დღე მიცვალებულთა დღე იყო. ყველა ოჯახი მიცვალებულისთვის სუფრას ამზადებდა, სოფლის საჯარეზე გამოიტანდა და ერთად მოიხსენიებდა გარდაცვლილთა სულებს. ისინი, ვისაც იმ წელს მცირეწლოვანი ბავშვი ჰყავდა გარდაცვლილი, სტომიან პურს აცხობდნენ და სანამ სუფრასთან დასხდებოდნენ, ბავშვებს ურიგებდნენ.

გუდამაყარში მარიამობას ხალხი ადგილობრივ ხატებშიც მიდიოდა და იქ აღნიშნავდა დღესასწაულს, მაგრამ ამ დღეს საერთო საგუდამაყრო სალოცავის, პირიმზე ფუძის ანგელოზის დღეობაა და ამიტომ ხალხი უმთავრესად იქით მიეშურებოდა.

ხალხის გადმოცემით პირიმზე და ფუძის ანგელოზი და-ძმანი არიან. პირიმზე სოფელ ჩოხშია, ფუძის ანგელოზი კი ხევსურეთშიო. თუ პირიმზეს დღეობა შუა კვირაში ექნებოდა, ანუ მარიამობა შუა კვირას დაემთხვეოდა, მლოცველი გუდამაყრიდან ხევსურეთში მომდევნო კვირის პარასკევს მიდიოდა. ახოობაზე, ანუ ფუძის ანგელოზობაზე, საკლავი შაბათს უნდა დაიკლას.

ხალხი პირიმზეს ცის ნაპირამდე მოარულს, უყმო ყმის მშველელს ეძახის. ვინც უნდა თხოვოს, ყველას მშველიაო. თურმე ძველად ხევსურეთში კერპები ხალხს არ უშვებდნენ სალოცავად. ფხიტურზე ყოფილა პირიმზე. ღვთის შვილებიდან მხოლოდ ის შებრძოლებია კერპებს და ბრძოლის შემდეგ ამ ადგილს საგუბია დარქმევიაო. პირიმზეს იახსრისთვის უთხოვია, მე თუ ვერ შევძელი კერპების დამარცხება, შენ დამეხმარეო, მაგრამ თავადაც გამკლავებია.

მლოცველები პირიმზეში ღამისთევით მიდიან და მრავალი საკლავი (ცხვარი, კურატი)

დასასრული მე-9 გვერდზე

საგარეჯოს მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში
ზაფხულის ლამაზი, საინტერესო, სიხარულით დატვირთული დღეები

ზაფხული რის ზაფხულია, თუ მას ბავშვების, ახალგაზრდების ყიჟინა, მხიარული შეძახილები, ყოველი ახალი დღის ინტერესით მოლოდინი არ ახლავს?! სწორედაც რომ ბავშვთა საერთაშორისო დღის – 1 ივნისის საზეიმოდ აღნიშვნით დაიწყო ზაფხული საგარეჯოს მუნიციპალიტეტში, თუმცა არც წინა თვეები ყოფილა უინტერესო სკოლებსა თუ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში, საგარეჯოს მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში, მუნიციპალიტეტში არსებულ სპორტულ დარბაზებსა თუ სპორტულ მოედნებზე, კულტურის სახლსა თუ სოფლის კლუბებში, ბიბლიოთეკებში, საგამოფენო სივრცეებში.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის თამარ ჯაბადარის სახელობის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის კედლებს ჯერ კიდევ არ ჰქონდა განლაგებული აქ მთელი სასწავლო წლის განმავლობაში ჩატარებული ინტელექტ თამაშის ***(ინტელექტკლუბის ხელმძღვანელი* ბადრი დრეიძე)** ვნებათა ღელვა, აქ კვლავ გაგრძელდა ღონისძიებათა ციკლი. დიახ, აქ ოფიციალურად მოხდა ევროკავშირის მოდელირება, რომელსაც ორგანიზატორობას უწევდა „ლიდერთა კლუბი“ და სახლის დირექცია. ამ წლის ევროკავშირის მოდელირების მთავარი თემა იყო „მეორე მსოფლიო ომი“. ბავშვები გადანაწილდნენ 5 სხვადასხვა კომიტეტში და მართლაც საინტერესო დღეების ათვლაც დაიწყეს და როცა მუშაობა შეაჯამეს, მადლობაც დაიმსახურეს საუკეთესო სპიკერმა – **საბა დუჩიძემ,** საუკეთესო დელეგატმა – **მარიამ მათიაშვილმა**, გამოცდილმა ლიდერებმა **გიორგი ტიგინაშვილმა, თათია ქართველიშვილმა, მიხეილ ჯიაბერაშვილმა.**

26 ივნისიდან მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში მუშაობა დაიწყო „საზაფხულო ბანაკი 2023“-მა.

პირველი დღე არტბანაკს დაეთმო.

ბანაკს ხელმძღვანელობდნენ მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ლიდერები: **თათია ქართველიშვილი და ნინო ჯავახიშვილი.**

ბანაკის მონაწილე ბავშვები ლიდერებმა დაყვეს გუნდებად. თითოეულ გუნდთან მუშაობდა 2 ლიდერი. გუნდებმა დაირქვეს სახელები და ამის შემდეგ მოამზადეს პრეზენტაციები. ლიდერებმა შესთავაზეს სხვადასხვა გასართობი ენერჯეიზერები.

დღის ბოლოს კი ნინო ჯავახიშვილი ბანაკის მონაწილეებს ეთამაშა შემეცნებითი გასართობი თამაში „კაჰუთი“

არტბანაკის მეორე დღეს მოსწავლე-ახალგაზრდობის

სახლის ლიდერობის კანდიდატმა ლიზი ოტიაშვილმა ბანაკის მონაწილეებს ჩაუტარა პრეზენტაცია, მსოფლიო დონის მუზეუმებზე და იქიდან გამომდინარე „კაჰუთის “ თამაშიც შესთავაზა მათ.

მესამე დღე დაეთმო სახლის ლიდერის დაჩი ქურხულის პრეზენტაციას თემაზე: „უძველესი ხელოვნება და რელიგიათა გავლენა მასზე“. ამავე დღეს ლიზი ოტიაშვილმა ჩაატარა ინტელექტუალური თამაში „კაჰუთი“.

მეოთხე დღე მიეძღვნა ხატვას, რომელსაც უძღვებოდა ამავე სახლის ხატვის კლუბის ხელმძღვანელი ***მხატვარი* ნინო ჯანგულაშვილი.**

30 ივნისს პირველი არტ-ბანაკის ბოლო დღეს გუნდებმა ჩაატარეს პრეზენტაციები წინა დღეს შექმნილი პლაკატებიდან გამომდინარე.

საგარეჯოს მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლმა 3 ივლისიდან ინგლისური ენის საზაფხულო ბანაკს უმასპინძლა. პირველი ნაბიჯები გაცნობით, ჯგუფების შექმნით, პრეზენტაციებით დაიწყო.

მეორე დღე – 4 ივლისი მთლიანად ამერიკის დაბადების დღეს მიეძღვნა, რომელსაც უძღვებოდა მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ინგლისური კლუბის ხელმძღვანელი ***თამუნა მათიაშვილი.***

მესამე დღეს მომზადდა პრეზენტაცია ინგლისურში არსებული სხვადასხვა სიტყვები ერთიდაიგივე მნიშვნელობით.

მეოთხე დღე პოსტერების პრეზენტაციას დაეთმო.

მეხუთე დღეს კი მთელი კვირის განმავლობაში შესწავლილი მასალები კიდევ ერთხელ გადაიმეორეს და შემაჯამებელი ინტელექტთამაშიც ჩაატარეს.

10 ივლისს უფროსკლასელთა ლიდერთა ბანაკმა ნაყოფიერად დაიწყო მუშაობა. ყოველი დღე საინტერესო თემებით იყო დატვირთული, განსაკუთრებით კი მესამე დღე, როცა ლიდერმა ლიზი ოტიაშვილმა ბანაკის მონაწილეებს საინტერესო პრეზენტაცია შესთავაზა მსოფლიო ლიდერებზე. მათ შორის: თამარ მეფე, დავით აღმაშენებელი, მაიკლ ჯექსონი და მერლინ მონრო.

ბანაკმა სამუშაო შეხვედრა წარმართა საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების საგარეჯოს რაიფილიალის მოხალისეებთან. ცნობიერების ამაღლების მიზნით ბანაკის მოსწავლეებმა მიიღეს ინფორმაცია წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საერთაშორისო მოძრაობის ფუძემდებლური პრინციპებისა და ჰუმანიტარული ფასეულობების შესახებ.

ლიდერთა ბანაკის ბოლო დღეს ბანაკს სტუმრობდა ***ნატო-ევროკავშირის კახეთის ბიუროს წარმომადგენელი* ბეჭა ეძსეულიძე,** რომელიც ბანაკის მონაწილეებს იმ საკეთეზე ესაუბრა, რა სიკეთეც შეიძლება მოჰყვეს საქართველოს ნატო-ევროკავშირში გაერთიანების შემდგომ.

17 ივლისს დაიწყო უფროსკლასელთა ისტორიის ბანაკი, რომელსაც ხელმძღვანელობდა მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ინტელექტკლუბის ხელმძღვანელი **ბადრი დრეიძე**. ამ დღეს ტრადიციულად მონაწილეები დაიყვნენ გუნდებად, შექმნეს აპლიკაციები და თითოეულმა გუნდმა გააკეთა პრეზენტაცია. ამ დღეს ბანაკის მუშაობას ბადრი დრეიძესთან ერთად უძღვებოდა დიდი ჩაილურის საჯარო სკოლის პედაგოგი **ეკა ჭიკაძე.** ბანაკის ხელმძღვანელებმა მონაწილეებს შესთავაზეს სახალისო თამაში – ერთი სიტყვით დაეხასიათებინათ საქართველო. დღის ბოლოს კი, როგორც ყოველთვის, ლიდერებმა შეაფასეს გუნდების მუშაობა.

მეორე დღეს ისტორიის ბანაკის ხელმძღვანელმა ბადრი დრეიძემ აუდიტორიასთან ისაუბრა ქართულ-ისტორიულ ძეგლებზე, რომლებიც ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა მუნიციპალიტეტებშია განთავსებული,. ასევე, მან ისაუბრა თბილისში, მთაწმინდის პანთეონში დაკრძალულ დიდ ქართველებზე, გააცნო საგარეჯოს ისტორია.

ბანაკის მონაწილემ **დაჩი ქურხულმა** გააკეთა პრეზენტაცია გამოჩენილ ქართველ ემიგრანტებზე. **მარიამ კუპატაძის** პრეზენტაცია მოიცავდა საუბრებს ქართულ ქორეოგრაფიაზე. **ნინო საგინაშვილი** ბანაკის მონაწილეებს ესაუბრა გრიგოლ აბაშიძის რომანებზე – „ლაშარელასა“ და „დიდ ღამეზე“.

საინტერესო იყო ბანაკის მესამე სამუშაო დღე. ბანაკის ხელმძღვანელობის მიერ მიცემული დავალება – მოეძიათ ინფორმაცია და ემუშავათ საქართველოს მუნიციპალიტეტებში არსებულ ძეგლებზე ბანაკის მონაწილეთა ნაყოფიერი მუშაობაც გამოვლინდა.

მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ისტორიის საზაფხულო ბანაკის IV დღე მართლაც გამორჩეული იყო. ბადრი დრეიძემ ბანაკის მონაწილეებს შესთავაზა ინტელექტთამაში, სადაც დასმული იყო კითხვები წინა დღეებში მოსმენილი სალექციო კურსიდან. თამაშში დასმული იყო 52 კითხვა. თამაში მიმდინარეობდა 3 ეტაპად. პირველი ეტაპი – თამაში დაიწყო 8 გუნდმა, ხოლო მეორე ეტაპზე ფინალში გადავიდა 5 გუნდი. მესამე ეტაპი კი შედგებოდა კაპიტნების კონკურსისაგან. ასევე, საინტერესო იყო ისტორიის დღის ბანაკის ბოლო დღე. ამ დღეს ბანაკს სტუმრად ჰყავდა ***სოფელ დიდი ჩაილურის საჯარო სკოლის ისტორიის პედაგოგი* ეკა ჭიკაძე,** რომელიც ბანაკის მონაწილეებს ესაუბრა თემაზე – კულტურული მემკვიდრეობა საგარეჯოს მუნიციპალიტეტში. შემდეგ ჯგუფებმა მოამზადეს სარეკლამო რგოლები, თუ როგორ უნდა შეძლონ ტურისტების მოზიდვა.

საინტერესოა ის, რომ წელს საგარეჯოს მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლმა უმასპინძლა 1370 არა მარტო ქალაქ საგარეჯოს, არამედ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მოსწავლეებსაც.

50 წელი –
ხელოვნებისა და ბავშვების სამსახურში

ვინ იცის, რამდენი წელი გასულა, რაც ხელოვნების სამსახურშია – ალბათ, ენის ადგმისთანავე. ლაგოდეხში დაბადებულმა თბილისის სახელმწიფო სასწავლებლის საგუნდო-სადირიჟორო ფაკულტეტი დაამთავრა, თუმცა ვინ აცალა „თვალის ახელა“ – საგარეჯოელმა მალხაზ ივანელაშვილმა მოიტაცა და საგარეჯოს II საშუალო სკოლაში 1972 წლიდან მუსიკის მასწავლებლად დაიწყო მუშაობა. 1976 წლიდან კი საგარეჯოს მეხუთე საბავშვო ბაგა-ბაღი გაიხსნა და იქ გადავიდა მუსიკის მასწავლებლად. მანამდე?! სკოლის პარალელურად საგარეჯოს რაიკულტურის განყოფილებასთან არსებულ ავტოკლუბის გამგედ მუშაობდა და იცით, რას ნიშნავდა ეს?! მოსავლის აღებისას ზვარსა და მინდორში გასულ მშრომელებთან მოძრავ კონცერტებს მართავდნენ. ზამთრის პერიოდში მთის სოფლების მოსახლეობასთან შეჰქონდათ მუსიკისა და სიმღერის მუხტი. არ იყო ადვილი საქმე – უნდა გაგეთვალისწინებინა მშრომელთა გემოვნება, ინტერესი და მათთვის სეზონთან დაკავშირებული პროგრამა წარგედგინა.

საბავშვო ბაღში?! ეს იყო საბჭოეთში ცნობილი ბაგა-ბაღი – სოციალისტურ შეჯიბრში გამარჯვებული, რომელსაც უამრავი სტუმარი სტუმრობდა სხვადასხვა ქვეყნებიდან – მათ კი მასპინძელი ბავშვები საინტერესო პროგრამით ხვდებოდნენ, რომელსაც ნუნუ მასწავლებელი ამზადებდა.

1996 წლიდან 2003 წლამდე რესპუბლიკის ყველა საბავშვო ბაღში მუსიკის პედაგოგის შტატი გაუქმდა, მეხუთე საბავშვო ბაგა-ბაღში ამ პერიოდში მოღვაწეობა არ შეუწყვეტია მუსიკის პედაგოგს ***ნუნუ ტაბატაძეს.*** დიახ, მთელი ამ ხნის განმავლობაში ქ-ნი ნუნუ უხელფასოდ მუშაობდა ისე, რომ მშობლებს არც კი გაუგიათ, მათი შვილების ხელოვნების სიყვარულით აღზრდაში როგორ, რანაირად იხარჯებოდა, დიახ, იხარჯებოდა მათი შვილების ყოველდღიურობის გასალამაზებლად.

ოჯახის ფესვებიდან სიმღერის თაყვანისმცემელი არის მეუღლეც – მალხაზ ივანელაშვილი და ორივე ხშირად იდგა საგარეჯოს კულტურის სახლის სცენაზე და არა მარტო საგარეჯოს, საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში გამართულ ღონისძიებებში, რუსეთის, მოკავშირე რესპუბლიკების სიმღერების ოლიმპიადებსა და კონკურსებში, ფესტივალებში იღებდნენ მონაწილეობას. იყო ტკივილიც, 3 წლის პირმშო – რამაზი – ტრაგიკულად დაეღუპათ... მაგრამ, არავის მოახვიეს თავიანთი ტრაგედია თავს და ის ტკივილიც შემოსაზღვრეს მხოლოდ თავიანთვის...

გოგონები კი, ირმა, დღეს 3 შვილის დედა – ხაშმის საჯარო სკოლის უცხო ენების პედაგოგია, პატარძეულისა და სართიჭალის საჯარო სკოლებში გერმანულის პედაგოგადაც მიიწვიეს. იასაც სამი შვილი ჰყავს, ეროვნული ფოლკლორისა და საგალობლების სპეციალისტია, თამუნას 1 შვილი ჰყავს და საერთაშორისო დიპლომატია...

წელს, სექტემბერში კვლავაც ჩვეული ენერგიით, ენთუზიაზმით შეაღებს საგარეჯოს №5 საბავშვო ბაღის კარებს მუსიკის მასწავლებელი **ნუნუ ტაბატაძე,** მერე რაა, რომ 50 წლის შრომითი სტაჟი აქვს, სულაც არ ეტყობა ასაკი, რადგან პროფესიის და ბავშვების სიყვარულმა ასაკი არ იცის.

„მშობელ მიწაში მიდგას ფესვები“

გიორგი ლეონიძე

9 აგვისტო გოგლას გარდაცვალების დღეა

მწერალი, პოეტი, საზოგადო მოღვაწე. საქართველოს სახალხო პოეტი (1959), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.

მამა - ნიკო ლეონიძე, ასევე ცნობილი საზოგადო მოღვაწე, პედაგოგი, ვაჟა-ფშაველას დიდი მეგობარი იყო. მას გორის სემინარია ჰქონდა დამთავრებული და სიცოცხლის ბოლო წლებში სასულიერო მოღვაწეობას ეწეოდა. ***დედა*** - სოფიო გულისაშვილი, ქართული ენისა და ლიტერატურის, ისტორიის და ხალხური სიტყვიერების საუკეთესო მცოდნედ ითვლებოდა. სოფიოს მამა ნინოწმინდის სამიტროპოლიტო ტაძრის წინამძღვარი იყო. ბიძა - ზაქარია გულისაშვილი - ხალხოსანი მწერალი, ''შაქროს'' ფსევდომინით იბეჭდებოდა.

ნიკო ლეონიძის ოჯახში იკრიბებოდნენ ქართული საზოგადოების გამოჩენილი წარმომადგენლები. ასეთ გარემოში აღზრდილ გიორგი ლეონიძეს ბავშვობიდანვე გამოჰყვა ქვეყნისა და მშობლიური ლიტერატურის სიყვარული. გიორგი ლეონიძის სწავლა-აღზრდაზე დიდი გავლენა მოახდინა მამის დანატოვარმა მდიდარმა ბიბლიოთეკამაც. გიორგის მამა ორი წლის ასაკში გარდაეცვალა და ხუთი და-ძმის აღზრდა დედამისს დააწვა მხრებზე.

1907 წელს გ. ლეონიძე თბილისის სასულიერო სასწავლებელში მიაბარეს. ამ პერიოდში მან თანამოაზრეებთან ერთად ლიტერატურული წრე ჩამოაყალიბა. 1913 წელს მან სწავლა განაგრძო თბილისის სასულიერო სემინარიაში, რომელიც 1918 წელს დაასრულა. აქ მას ასწავლიდნენ ისეთი გამოჩენილი პიროვნებები, როგორებიც არიან: ვასილ ბარნოვი, ნიკო სულხანიშვილი, კორნელი კეკელიძე და სხვ. 1911 წლიდან უკვე პრესაში გამოჩნდა მისი პირველი ლექსები და წერილები. იგი რედაქტორობდა ხელნაწერ ჟურნალებს "გვირგვინი" და "ფანდური", რომლებიც სემინარიაში გამოდიოდა. 1916 წელს გიორგი ლეონიძემ დააარსა ლიტერატურული ალმანახი "საფირონი".

პირველი ლექსი "მცხეთა" ყრმობის ჟამს გამოაქვეყნა (1911, გაზეთი ''სინათლე''). ერთი წლის შემდეგ ლექსი უძღვნა ვაჟა-ფშაველას, რომელიც საპასუხო ლექსით (1912, დაიბეჭდა გაზეთ ''განათლებაში'') გამოეხმაურა პოეტს. 1912 წლიდან ლეონიძის ლექსები სისტემატურად იბეჭდებოდა ჟურნალ-გაზეთებში, თუმცა პოეტი თავისი შეგნებული სამწერლო მოღვაწეობის დასაწყისად 1915 წელს ასახელებდა. ამ წელს დასტამბულ ლეონიძის ლექსებში, წერილში ''ოსკარ უალდი'' (ჟურნალი ''თეატრი და ცხოვრება'', 51) და სხვა აშკარად გამოჩნდა პოეტის მოდერნისტული განწყობილებანი. 1918 წელს იგი დაუახლოვდა ''ცისფერყანწელებს'', რომლებთანაც ანათესავებდა ქართულ ნიადაგზე მოდერნიზმის გადმონერგვის სურვილი და ლექსის ტექნიკური სრულყოფისაკენ სწრაფვა. ეს წლები ერთგვარი ''ოსტატობის სკოლა'' გამოდგა ახალგაზრდა პოეტისათვის, რომელმაც გარკვეული ხარკი მიუზღო სიმბოლიზმს (ლექსები: ''ოფორტი'', 1919; ''მზე ტაბასტა'', 1922; ''ავტოპორტრეტი'' და სხვა წერილები და ნარკვევები). 1919 წელს პოეტმა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში განაგრძო სწავლა. 1921 წელს ლეონიძემ ტ. ტაბიძესთან ერთად გამოსცა პოეტური კრებული „რევოლუციის პოეტები". 1922-1923 წლებში იგი „ცისფერყანწელთა" ყოველკვირეულ სალიტერატურო გაზეთ „ბახტრიონს" რედაქტორობდა. ლეონიძე მაინც შორს იყო ორთოდოქსული სიმბოლიზმისაგან. შემდგომ პოეტის ღრმა პატრიოტულმა განწყობილებამ და ქართველ კლასიკოსთა ძლიერმა ზეგავლენამ საბოლოოდ ჩამოაშორა ესთეტიზმს.

ლეონიძე თვითმყოფადი და ღრმად ეროვნული პოეტია, რომლის ადრინდელმა ლირიკულმა შედევრებმა (''ნინოწმინდის ღამე'', ''სიმღერა პირველი თოვლისა'', 1926; "მყვირალობა", ''ყივჩაღის პაემანი'', ''ყივჩაღის ღამე'', 1928; ''ოლე'', 1931 და სხვა) იმთავითვე განსაზღვრა პოეტის როლი XX საუკუნის ქართულ პოეზიაში.

საქართველოს ისტორიის წარსულისადმი მიძღვნილ ლექსთა ციკლი ''ქართლის ცხოვრება'' პატარა ერის ისტორიის ტრაგიკული ფურცლებია. პოეტი წარსულშიც მომავალს განჭვრეტს; ამიტომაც მისი თუნდაც ყველაზე ტრაგიკული სტრიქონები ნათელი ოპტიმიზმით არის გამსჭვალული («წიგნი ''ქართლის ცხოვრება''», «მინაწერი ''ქართლის ცხოვრებაზე''», ''წინაპრებს'', 1928; «მე ვკითხულობდი ''ქართლის ცხოვრებას''», 1929; ''დიდ თამარს'', ''დავით აღმაშენებელს'', 1941 და სხვა). ლეონიძის ღრმა პატრიოტიზმი, მისი მოქალაქეობრივი პროგრამაა ჩამოყალიბებული ლექსში ''ვუმღერ სამშობლოს'', პოეტის იდეალია ''ადიდებული, დამწიფებული'' სიცოცხლე, ამავე დროს, ლექსის ის უჭკნობი სიჭაბუკე, რომლის საწინდარია ლექსისა და მისი წარმომშობი ეპოქის თანხმოვანება (''სიჭაბუკე და ლექსი ერთია''). საქართველოს მიუძღვნა ლექსთა ციკლი ''თბილისის განთიადები'' (''მთაწმინდიდან ქარს მოჰქონდა'', 1926; ''თბილისის განთიადი'', 1935; ''თბილისი, ჩვენო თბილისო'', 1940; ''თბილისს'', 1947 და სხვა).

პოეტი გამოეხმაურა დიდ სამამულო ომს (''მხედარი პირტახია'', 1941; ''შინმოუსვლელო, სადა ხარ?'', 1943; ''არ დაიდარდო, დედაო'', 1944 და სხვა). სამშობლოს ძბელბედობის ჟამს შექმნილი ზოგიერთი მისი ლექსი ხალხურ სიმღერად იქცა.

გიორგი ლეონიძის ლირიკულ-ეპიკურ პოემებში ''სამგორი'' (1960) და ''ფორთოხალა'' (1951; სსრკ სახელმწიფო პრემია, 1952) თანამედროვეობის, ''ახალი ქართლის'' თემა გადაწყვეტილი ისტორიის თემასთან თავისებურ მიმართებაში. ''ფორთოხალა'' ისტორიის შემოქმედი ხალხისადმი, უსახელო გლეხის ქალისადმი მიძღვნილი ჰიმნია. ლეონიძეს ეკუთვნის აგრეთვე პოემები ''ბავშვობა და ყრმობა'' (1933, სსრკ სახელმწიფო პრემია, 1941), ''ბერშოულა'' (1943), ''რატომ არის საქართველო ლამაზი და მდიდარი'' (1957) და სხვა. 60-იანი წლების ზღურბლიდან შეიმჩნევა ლეონიძის პოეზიის ახალი აღორძინება.

გიორგი ლეონიძის მოთხრობების წიგნმა ''ნატვრის ხემ'' (1962, იმავე სახელწოდების ფილმი - 1976, რეჟისორი თენგიზ აბულაძე) სრულიად ახალ მხატვრულ სამყაროს აზიარა მკითხველი, პოეტის ყრმობის ხორცშესხმული აჩრდილები, გააზრებულნი დიდი მხატვრის ღრმა ინტელექტით, თანამედროვე ოსტატის თვალთახედვით წარმოგვიდგებიან. ერთმანეთთან დაუკავშირებელი მცირე მოთხრობების ეპიკურობა მძლავრი პოეტური ნაკადით არის გაჯერებული.

გიორგი ლეონიძე ნაყოფიერად იღვწოდა ლიტერატურათმცოდნეობაშიც. იყო ქართული ლიტერატურის, განსაკუთრებით ძველი ქართული მწერლობის, ქართულ-რუსული, ქართულ-უკრაინული ლიტერატურის ურთიერთობათა მკვლევარი, ძველი ხელნაწერების დაუცხრომელი მაძიებელი და გამომცემელი. 30-იან წლებში მისი ინიციატივით დაარსდა მთაწმინდის მწერალთა მუზეუმი, რომელიც მოგვიანებით საქართველოს სსრ სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმად გადაკეთდა (ამჟამად გ. ლეონიძის სახელობისა), იგი წლების მანძილზე ამ მუზეუმის დირექტორად მუშაობდა. დააარსა ალმანახი ''ლიტერატურული მემკვიდრეობა'', რომელსაც თვითონვე რედაქტორობდა. 1940-1948 წლებში ''ლიტერატურული მატიანის'' რედაქტორი იყო, 1951-1953 წლებში ხელმძღვანელობდა საქართველოს მწერალთა კავშირს, 1957-1966 წლებში შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტს.

გიორგი ლეონიძემ სათანადო კომენტარებითა და გამოკვლევებითურთ გამოსცა მამუკა ბარათაშვილის ''ჭაშნიკი'' (1920), სულხან-საბა ორბელიანის ''სიბრძნე-სიცრუისა'' (1928), იოსებ თბილელის ''დიდმოურავიანი'' (1939) და სხვა. ლეონიძეს ეკუთვნის გამოკვლევები ვეფხისტყაოსნის, ვახტანგ VI-ის, დავით გურამიშვილის, ბესიკის, საიათნოვას, ანთიმოზ ივერიელის, მ. გურიელის, ა. ყაზბეგის, ი. ჭავჭავაძის, ა. წერეთლის, ვაჟა-ფშაველას, ვ. ბარნოვის და სხვათა შესახებ. კინოფილმ ''ჯურღაის ფარის'' (1944, რეჟისორი ს. დოლიძე, დ. რონდელი) სცენარისათვის მიენიჭა სსრკ სახელმწიფო პრემია (1950). დაჯილდოებულია 2 ლენინის ორდენით, წითელი დროშის ორდენითა და მედლებით.

გარდაიცვალა 1966 წლის 9 აგვისტოს.

დაკრძალულია მთაწმინდის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

<u>მართლმადიდებლობა</u>

მარიამობა

დასასრული

მიჰყავთ. დღემდე ხატში მიაქვთ ქადა-სანთელი. ხატში მისულ მლოცველს ქადა-სანთელი დეკანოზთან მიაქვს, რომელიც მიმტანს ლოცავს და სანთელს ანთებს. ქადას ძველად მთლიანად მას უტოვებდნენ, ახლა სახლში მოაქვთ. ქადას სამწყალობნოს ეძახიან. დეკანოზს ზოგჯერ ფულსაც აძლევდნენ. დეკანოზი საკლავზეც ილოცებოდა. ამ დროს ხატის დროშა იყო გამობრძანებული. ყველა საკლავის დაკვლაზე დროშას შეარხევდნენ და ზარი ირეკებოდა. ყველა იქ მყოფი პირით აღმოსავლეთისაკენ დგებოდა, დეკანოზი საკლავს ანთებული სანთლით ბალანს შეუტუსავდა, დსტურები საკლავს ფეხებს დაუჭერდნენ, დეკანოზი ხანჯლით ყელს გამოჭრიდა, პატრონი კი ატყავებდა.

პირიმზეში გაყავდათ ბავშვები და ხატში მიბარების წესს ასრულებდნენ. ამჯერადაც ოჯახს დეკანოზთან უნდა მიეყვანა საკლავი. დეკანოზი დაილოცებოდა, საკლავს დაკლავდა და თუ ბავშვი ბიჭი იყო, საკლავის სისხლს შუბლზე ჯვარს გამოუსახავდა, ხოლო თუ გოგონა იყო, მარჯვენა ხელის გულზე.

ხატში ფერხისას ასრულებდნენ. ძველად იგი ორსართულიანიც იყო. ფერხისას ამგვარ ტექსტზე

მღეროდნენ:

"ჩვენი პირიმზის კარზედა
ხე ალვა ამოსულაო.
იმას დაუსხამს ყურძენი,
საჭმელად შამოსულაო.
იმის უჭმელი ქალ-ვაჟი
უდროოდ ჩამოშლილაო".

ამავე ტექსტს სხვა ხატებშიც მღეროდნენ. როდესაც ხატში საკლავის ხორცი გამზადდებოდა, იშლებოდა სუფრა და იწყებოდა ლხინი, ცეკვა-სიმღერა, სადღეგრძელოები, ერთმანეთის გადაპატიჟება.

ამ ხატობაზე ავადმყოფებსაც მკურნალობდნენ. როდესაც პირველად ხატს ანუ ჩვეულებრივ ჯვარს გამოაბრძანებდნენ, ეკლესიის კარის წინ ავადმყოფები პირქვე იყვნენ გაწოლილები. უხუცესი დეკანოზი (ხატში შეიძლება რამდენიმე დეკანოზი ყოფილიყო) ავადმყოფებს სამჯერ დროშის ტარით ჯვარს გადასახავდა. თავზე, წელზე და ორივე მხარზე ამ ტარს დაჭერდა, ავადმყოფს ცალი ფეხით წელზე შეადგებოდა, ახლა უკვე ფეხს აჭერდა და სამჯერ გადახტებ-გადმოხტებოდა. ამას ხატით გალახვას უწოდებდნენ. ამის შემდეგ დეკანოზი ჯვარს ლუდში ამოავლებდა და ამ ლუდს ავადმყოფს დაალევინებდა.

მთიულეთში მარიამობა საერთო სათემო დღეობა იყო. იკვლებოდა საერთო სათემო საკლავი, საერთო სათემო წესები სრულდებოდა და სუფრაც ერთი იშლებოდა.

ხევში მარიამობა ცნობილი და ამ კუთხის მთავარი სალოცავის, გერგეთის სამების, დღესასწაულია. გერგეთში მარიამობაზე დღემდე მთელი ხევიდან მიდიან. მლოცველები მიდიოდნენ ჩრდილო ოსეთიდან, სტავროპოლიდან. ესენი იყვნენ: რუსები, ბერძნები და სხვები. წირვა-ლოცვის გარდა იწირებოდა საკლავი (ცხვარი, ხარი), რომლებსაც დეკანოზი კლავდა. იმართებოდა დოღი.

<u>ზაფხულის დღიურიდან</u>

ინტელექტუალური თამაში

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის სამუშაო გეგმის მიხედვით, ქალაქ საგარეჯოში 2 ივნისს ჩატარდა ინტელექტუალური თამაში – „რა, სად, როდის?!" გაზაფხულის სერიის I ტური, სადაც მონაწილეობა მიიღეს მუნიციპალიტეტის მასშტაბით ქ. საგარეჯოს №1,2,3,4, ხაშმის, პატარძეულის, ნინოწმინდის, გიორგიწმინდის, წყაროსთავის, უდაბნოს, გომბორის საჯარო სკოლების მოსწავლეებმა.

7 ივნისს კი ქალაქის №4 საჯარო სკოლაში ჩატარდა თამაშის მეორე ტური, რომლის განხორციელება უზრუნველყო აიპ „მხიარულთა და საზრიანთა კლუბმა". აღნიშნულ ტურში მონაწილეობდა მუნიციპალიტეტის 8 საჯარო სკოლა, საიდანაც ფინალურ ტურში გადავიდა 4 სკოლა: ხაშმის, დუზაგრამის, გომბორის, ქ. საგარეჯოს №1 საჯარო სკოლები.

29 ივნისს კი მუნიციპალური თამაშის „რა, სად, როდის?!" სკოლებს შორის ინტელექტკლუბის ფინალური ტური გაიმართა საგარეჯოს კულტურის სახლის მცირე დარბაზში, სადაც ფინალისტი გუნდები თანაბარ პირობებში ასპარეზობდნენ. ფინალის შედეგები კი ასეთი იყო: ქალაქ საგარეჯოს №1 საჯარო სკოლა („პირველები") – 18 ქულა, №2 საჯარო სკოლა („ენდორფინები") – 14 ქულა, IV საჯარო სკოლა (Los polos) – 10 ქულა. 7 ქულა მოაგროვა ქალაქ საგარეჯოს №3 საჯარო სკოლამ („ჰერა"), 6-6 ქულა – კაკაბეთის საჯარო სკოლამ („კაკაბეთი"), პატარძეულის საჯარო სკოლამ („ირმის ნახტომი").

ინდივიდუალური შეკითხვები გამოიცნო ორმა მოაზროვნემ: ქ. საგარეჯოს №1 საჯარო სკოლის XII კლასის მოსწავლემ – **გიორგი ძაიხოსროშვილმა** („პირველი") და ქ. საგარეჯოს IV საჯარო სკოლის მოსწავლემ **ვიტალი ოსეფაშვილმა** („იგნოსი").

რაც შეეხება ზაფხულის სერიის საუკეთესო მოაზროვნეს, დასახელდა საგარეჯოს I საჯარო სკოლის მოსწავლე **გიორგი ძაიხოსროშვილი,** ზაფხულის სერიის საუკეთესო ახალი მოაზროვნე – პატარძეულის საჯარო სკოლის მოსწავლე **ლევან ზუკაკიშვილი**.

ოქტომბერში მუნიციპალიტეტის მასშტაბით ორგანიზაციებს შორის ინტელექტუალური თამაში – „რა, სად, როდის?" დაიწყება, რომელიც მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის ინიციატივით ჩატარდება.

შეხვედრა მკლავჭიდელებთან

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერი, **ავთანდილ გულიკაშვილი** მკლავჭიდის ნაკრების წევრებს შეხვდა, რომლებმაც ევროპის ჩემპიონატზე ღირსეული გამარჯვებას მიაღწიეს, ჩემპიონის ტიტული მოიპოვეს და 5 მედლით დაბრუნდნენ. ფალავნებმა მუნიციპალიტეტის მერს მადლობა გადაუხადეს, გასულ თვეში ჩემპიონატზე გამგზავრების ორგანიზებისთვის, მხარდაჭერისა და ფინანსური დახმარებისთვის.

ავთანდილ გულიკაშვილმა ***ნაკრების მწვრთნელთან* მამუკა ბილანიშვილთან** არსებულ საჭიროებებსა და გამოწვევებზე ისაუბრა და აღუთქვა, რომ მიმდინარე წლის 24 აგვისტოს ყაზახეთში მსოფლიო ჩემპიონატზე ნაკრების წევრებისა და მწვრთნელის გამგზავრების ხარჯებს მუნიციპალიტეტის მერია უზრუნველყოფს.

„მივესალმები როგორც პროფესიონალური, ასევე სამოყვარულო სპორტის განვითარებას. ჩვენ არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი განვახორციელეთ სპორტის ხელშეწყობის მიმართულებით, რათა უფრო მეტი წარმატებული სპორტსმენი აღვუზარდოთ ჩვენს მუნიციპალიტეტს. ასევე, აქტიურად ვახორციელებთ წარმატებული სპორტსმენების მხარდაჭერის პროგრამას. იმედს ვიტოვებ, რომ ჩვენი ქმედითი ნაბიჯები ევროპის და მსოფლიო ჩემპიონატზე მიღებული წარმატებისთვის იქნება კიდევ ერთი დიდი სტიმული. მინდა მადლობა გადაგიხადოთ მიღწეული შედეგებისთვის, სიამაყის განცდისთვის და მინდა გამარჯვება გისურვოთ მომავალ მსოფლიო ჩემპიონატზე.“- აღნიშნა **ავთანდილ გულიკაშვილმა**

მილოცვა

საგარეჯოს კულტურის სახლის მენეჯერს, ქართული, ეროვნული კულტურის ტრადიციების ღირსეულ გამგრძელებელს, ამ ტრადიციებზე არაერთი გარეჯელი მომავალი თაობების დამკვალიანებელსა და მაზიარებელს, მსახიობსა და უებრო მოცეკვავეს, ა(ა) იპ საგარეჯოს კულტურის სახლის შემოქმედ ხელმძღვანელს, ყველასათვის სათნო და საყვარელ ქალბატონს **თინათინ მეზვრიშვილს** ვულოცავთ დაბადების დღეს.

კვლავაც მრავალჟამიერ, ჩვენო თინათინ, შენს ოჯახთან და საყვარელ საქმიანობასთან ერთად ჩვენი მომავალი თაობების აღზრდის კეთილშობილურ საქმეში.

გაზეთ „გარეჯის მაცნეს“ რედაქცია

უსაყვარლეს ქალბატონს

მე არ მინახიხარ პატარა,
უშლელი კოკორი ვარდი,
ალბათ გნოლივით გოგმანა,
უცოდველ ფერიას ჰგავდი!

მე გნახე ვარდი გაშლილი,
სურნელი თავბრუს, რომ ახვევს,
წლები ნაოჭში ჩამჯდარი,
თვალებთან სიბრძნეს, რომ აფქვევს!

ახლოს არ იკარებ სიბერეს,
შორიდან დამფრთხალი დაგდევს,
ისევ მოლივლივე ზღვას გავხარ!
დილის მზე სხივებს რომ აკმევს...

მზია გუმბერიძე.

მიეძღვნა თამარ ჯაბადარის ხსოვნას



1 აგვისტოს საგარეჯოს მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ყოფილი დირექტორის **თამარ ჯაბადარის** ამ წუთისოფლიდან გასვლის დღეა. დღეს ეს სახლი მის სახელს ატარებს, სადაც კვლავაც ისმის მოსწავლეების, ახალგაზრდების ჟრიამული, სადაც ტარდება საინტერესო ღონისძიებები. 1 აგვისტოს თამარ ჯაბადარის სახელის გასახსენებლად და მისთვის პატივის მისაგებად, მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში გაიხსნა დედა-შვილის – ***ეკა ჭიკაძისა და ნინა ვეშაპიძის*** ნახატებისა და ხელით ნაქარგების გამოფენა. გამოფენა ***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერმა* ავთანდილ გულიკაშვილმა** გახსნა. წარმოდგენილმა ნიმუშებმა აღფრთოვანებაში მოიყვანა დამთვალიერებლები. ამ დღეებში შევხვდით ეკა ჭიკაძესა და ნინა ვეშაპიძეს და ვთხოვეთ ჩვენი გაზეთის მკითხველისათვის უფრო მეტი ინფორმაციის მისაწოდებლად ესაუბრათ საკუთარ თავზე – ხელოვნებასთან წილნაყარობასა და იმ სიყვარულზე, რომელმაც ისინი ამ საინტერესო დარგთან დააკავშირათ.

ეკა ჭიკაძე:

– ვცხოვრობ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ დიდ ჩაილურში. მყავს მეუღლე – გელა ვეშაპიძე და სამი შვილი. პროფესიით ვარ ისტორიკოსი. დიდი ჩაილურის საჯარო სკოლაში ვასწავლი ისტორიას, ჭადრაკს, დებატებს. ქარგვას ვასწავლი, როგორც მოხალისე. პედაგოგიური მოღვაწეობის პარალელურად ვეხმარები მეუღლეს საოჯახო მეურნეობის გაძღოლაში. მიყვარს მცენარეები.

მშობლებმა ჩათვალეს, რომ ხატვის ნიჭი მქონდა და ჯერ კიდევ 4 წლის ასაკში შემიყვანეს სამხატვრო სკოლაში.

ქარგვა ბებომ მასწავლა. შემდეგ კი საგარეჯოს II საჯარო სკოლაში შრომის მასწავლებელმა ციალა ალექსაშვილმა. პირველი ნაქარგები არ შემინახავს. ძირითადად ცხვირსახოცებს ვქარგავდი და ვჩუქნიდი ჩემთვის საყვარელ ადამიანებს. ამჟამად არ ვხატავ, თუმცა რესურსების გაკვეთილისათვის ტრენინგებზე პრეზენტაციებს ვამზადებ.

პირველი გამოფენა დიდი ჩაილურის საჯარო სკოლაში მქონდა. რაც შეეხება 1 აგვისტოს გამოფენას, იმედი მქონდა, რომ მოეწონებოდათ და ცოტა გაოცდებოდნენ, როდესაც აღმოაჩენდნენ, რომ ლეონარდო დავინჩის „სპაგაზლიტა“ მე ძაფებით შევქმენი და ზუსტი ასლია ორიგინალის. მოლოდინმა გაამართლა. გამოფენის სტუმრებს სახეზე ეტყობოდათ გაოცებაც და აღფრთოვანებაც, რაც ჩემთვის დიდი ჯილდოა.

მიყვარს რენესანსის ეპოქის იტალიელი მხატვრების შემოქმედება, განსაკუთრებით კი ბოტიჩელის „ვენერას დაბადება“ და „გაზაფხული“. თანამედროვე მხატვრებიდან

მომწონს ლევან სონღულაშვილი და ლევან კიკნაძე. ქარგვა ჩემს მოსწავლეებსაც ვასწავლე. გამოფენაზე ორი მოსწავლის – ნინი მალასიძის და მაგდა გურგენიძის ნამუშევრებიც იყო.

ნინა ვეშაპიძე:

– ვცხოვრობ თბილისში მეუღლესთან ერთად. პროფესიით ვარ ლანდშაფტის დიზაინერი. ქარგვა წლების წინ დავიწყე, ხატვა ერთი წლის წინ. ხელოვნების სიყვარული დედამ ჩაგვინერგა. ვხედავდი, როგორც კი თავისუფალ დროს ნახავდა, ქარგავდა. ჩვენს სახლში ბევრი ალბომი და წიგნია ხელოვნების შესახებ. დედას პატარაობიდანვე თავის მოსწავლეებთან ერთად დავყავდით მუზეუმებში, ხელოვნების სასახლეში, დიმიტრი შევარდნაძის სახელობის გალერიაში გამოფენებზე. ჩემი ნამუშევრების პირველი შემფასებელი დედა იყო, ახლა მეუღლე. მათი მხარდაჭერა ჩემთვის მნიშვნელოვანია. ჩემი პირველი ნამუშევარი თილისმასავით შემონახული მაქვს. მხატვრებიდან მიყვარს იმპრესიონისტები. 1 აგვისტოს გამოფენა ჩემთვის პირველი გამოფენა იყო. ვდელავდი, თუმცა მოხარული ვარ, რომ ჩემი პირველი გამოფენა ჩემს საყვარელ ნათლიას თამარ ჯაბადარს მივუძღვენი.

რედაქტორი:
თინათინ ილაური

„გარეჯის მაცნეს“ გამომცემელი შპს „გარეჯის მაცნე“
გაზეთი რეგისტრირებულია სსიპ „საჯარო რეესტრში“ სარეგისტრაციო ნომერი 281366; საიდენტ. კოდი 438107460. ტირაჟი – 300
რედაქციის მისამართი: ქ. საგარეჯო,
დ. აღმაშენებლის ქ. № 15,
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა შ.პ.ს. „გარეჯის მაცნე“-ში
დაიბეჭდა თბილისში, გამომცემლობა შპს „კოლორ პრესს“-ში.
ტელეფონი: 599 851 143
ელ. ფოსტა: garejismacne11@gmail.com